

- სისხლის საპატიონის
- უროცხესაგის
- ამონიტორინგის
- ენგარია

• ამონიტორინგის უარიოლი: ანარტი 2019 - ტევეარგვანი 2020



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №14

(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის,  
რუსთავისა და თელავის სასამართლოებში)

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2019 - თებერვალი 2020

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას  
სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყო-  
ბისათვის.

**ანგარიშის ხელმძღვანელი:** მერაბ ქართველიშვილი

**ავტორები:** თამარ ბოჭორიშვილი  
ფატიმა ჩაფჩიძე

**მონიტორები:** ხატია ხარატიშვილი  
მთვარისა შველიძე  
აშუმბერ ქათამაძე  
შალვა ჯავახიშვილი  
ბეჟა თაბაღანიძე  
ნინო ირემაძე  
თეონა ბაბაღაძე  
გვანცა კახიძე  
გიორგი ეშაშვილი

**რედაქტორი:** ხათუნა ყვირალაშვილი

**ტექ. რედაქტორი:** ირაკლი სვანიძე

**ყდის დიზაინი:** ნინო ბაბუა

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის  
წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
[www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

---

© 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

# ს ა რ ჩ ე ვ ი

მოკლე მიმოხილვა .....	7
მეთოდოლოგია .....	9
ძირითადი მიგნებები .....	11
პირველი წარდგენის სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები – ზოგადი მიმოხილვა .....	17
სხდომების ანალიზი .....	18
ალკვეთის ღონისძიებები ქალაქების/რაიონების მიხედვით ....	19
სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა .....	20
პროკურატურის მიდგომები .....	21
დაცვის მხარის პოზიცია .....	23
ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება .....	26
კანონმდებლობის მიმოხილვა .....	26
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	27
ალკვეთის ღონისძიების სახით ბირაოს გამოყენება .....	30
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა .....	30
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	31
პირადი თავდებობა .....	36
შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო მცვეის შესახებ .....	36
სხდომები, რომლებზეც სასამართლომ არ გამოიყენა ალკვეთის ღონისძიება .....	37
ალკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესახებ სასამართლო სხდომები .....	38
კანონმდებლობის ანალიზი .....	38
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	38

დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება .....	40
კანონმდებლობის მიმოხილვა .....	40
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	41
წინასასამართლო სხდომებზე მტკიცებულებათა დასაშვებობა .....	43
შესავალი .....	43
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	43
გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი .....	46
შესავალი .....	46
სასამართლო სხდომების ანალიზი .....	46
სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება .....	48
განჩინებების ანალიზი .....	49
სამართალწარმოება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით .....	52
საკანონმდებლო მიმოხილვა .....	52
გამოვლენილი ტენდენციები .....	52
ბრალდებულთათვის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტება .....	53
გამოვლენილი ტენდენციები .....	53
მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვის პრაქტიკა ....	54
გამოვლენილი ტენდენციები .....	54
სასამართლოს მიერ სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე მსჯელობა .....	55
გამოვლენილი ტენდენციები .....	55
გამოყენებული სასაქმეო .....	56
დაგარალებული ინტერესების გათვალისწინება ცალკეული ტიპის დანაშაულებზე .....	59

სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები .....	59
გამოვლენილი ტენდენციები .....	59
მხარეთა მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში .....	60
ადვოკატის როლი .....	60
გამოვლენილი ტენდენციები .....	60
ბრალდების მხარის მიდგომები საპროცესო შეთანხმების დადებისას .....	61
საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები .....	63
საჯაროობის პრინციპის დარღვევა .....	63
გამოვლენილი ტენდენციები .....	64
სწრაფი მართლმსაჯულება .....	65
გამოვლენილი ტენდენციები .....	66
პროცესის გადადება .....	68
სხდომის დაგვიანებით დაწყება .....	69
განაჩენები .....	69
ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები .....	72
კანონმდებლობის მიმოხილვა .....	72
ალკვითის ღონისძიების სხდომების ანალიზი .....	72
საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე .....	75
არსებითი განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე .....	76
ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები .....	78
ალკვითის ღონისძიებები ნარკოტიკულ დანაშაულებზე .....	78
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა .....	78

სასამართლო სხდომების ანალიზი .....	79
საპროცესო შეთანხმების სხდომებზე გამოყენებული სასაქმეო ნარკოტიკული დანაშაულებისთვის .....	81
საქმის არსებითი განხილვის შედეგად შეფარდებული სასაქმეო .....	82
მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული სხვა საკითხები .....	84
თარჯიმნის ყოლის უფლება .....	84
სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან .....	85
მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა ....	85
ბრალდებულთათვის ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება .....	86
დასკვნა და რეკომენდაციები .....	88

## მოკლე მიმოხილვა

ანგარიშის მიზანია, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებზე დასწრებითა და გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, მათ შორის, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირება. ანგარიში ასახავს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით, ასევე, ძირითად ტენდენციებს მონიტორინგის დაწყებიდან დღემდე.

ეს საანგარიშო პერიოდი არ ყოფილა გამონაკლისი. გარკვეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა ბრალდების მხარის მიერ არასაკმარისად დასაბუთებული შუამდგომლობების წარდგენას. ასეთ დროს მოსამართლეს, სათანადო სასამართლო კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. თუმცა, მონიტორინგმა აჩვენა, რომ ამ კუთხით მისი ფორმალური მიდგომები და, ხშირად, არასაკმარისი უფლებამოსილება აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფს.

პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლეები, უმეტეს შემთხვევაში, საჯაროდ არ განიხილავენ დაკავების კანონიერებას. ისინი ამაზე ძირითადად მხოლოდ მაშინ მსჯელობენ, როდესაც დაცვის მხარე დაკავების უკანონობაზე აპელირებს. სხდომაზე ამ საკითხის განხილვისა და მოსაზრებების ზეპირად მოსმენის შემდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას უფრო მაღალი ლეგიტიმაცია ექნება, რაც ხელს შეუწყობს მხარეთა თანაბარ პირობებში ჩაყენებას.

მოსამართლე არასაკმარისი გულმოდგინებით ეკიდება პატიმრობის პერიოდული გადასინჯვის საკითხს და მას, თითქმის ყოველთვის, უცვლელად ტოვებს. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე არ ხდება პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობის დასაბუთება.

პრობლემად რჩება ჩხრეკა-ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარება. პროკურატურა, თითქმის ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი საგამოძიებო მოქმედების გადაუდებელი საფუძვლით ჩატარების აუცილებლობა, სასამართლოს გვერდის ავლით ატარებს აღნიშნულ ოპერაციას. სასამართლო, თავის მხრივ, სათანადო კონტროლის განხორციელების გარეშე, როგორც წესი, კანონიერად მიიჩნევს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩხრეკა-ამოღების გზით პირთა პირად ცხოვრებაში ჩარევას.

ბოლო ორი საანგარიშო პერიოდი, კრიტიკულად იზრდება პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავებულის სახით გამოცხადებულ პირთა რაოდენობა. ამ ფონზე კიდევ უფრო აქტუალურია ალკვეთის



ლონისძიების - „გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით“ - პრაქტიკაში დამკვიდრებული განმარტების პრობლემურობა. სასამართლო, ერთი მხრივ, თავისივე გადაწყვეტილებაში ასახავს, რომ ბრალდებულის სათანადო ქვევას გირაო უზრუნველყოფს და, მეორე მხრივ, ყველა შემთხვევაში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, პირს გირაოს გადახდადღე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ტოვებს.

საანგარიშო პერიოდში იმდენად მაღალია აღკვეთის ყველაზე მკაცრი ღონისძიებების - გირაოსა და პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი, რომ სხვა ალტერნატიული სახეები პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენება. საკმაოდ დაბალია აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შემთხვევებიც. გარდა ამისა, ზოგჯერ მოსამართლეს უწყევს, ბრალდებულს შეუფარდოს მკაცრი ღონისძიება, რაც განპირობებულია ალტერნატიული ზომების არასაკმარისი რაოდენობით და მათთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო შეზღუდვებით. შედეგად, სასამართლო იყენებს უფრო მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არის.

კვლავ ფორმალური ხასიათი აქვს საპროცესო შეთანხმებისას სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებას. აუცილებელია, სხდომაზე მოსამართლემ მეტი გულმოდგინება გამოიჩინოს ამ საკითხთან დაკავშირებით და დააფიქსიროს, ეთანხმება თუ არა დანაშაულის კვალიფიკაციას და სასჯელს.

პრობლემად რჩება სასამართლო განხილვების გაჭიანურება. რიგ შემთხვევაში ბრალდებულები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სრულყოფილად ისარგებლონ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებით. გაჭიანურების საპირწონე არგუმენტად ნამდვილად ვერ გამოდგება ვერც სასამართლოს გადატვირთულობაზე აპელირება და ვერც სხვა ნებისმიერი გარემოება, რომელიც ხელს უშლის კანონის აღსრულებას.

საია დადებითად აფასებს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა მოსამართლის როლი არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დროს. აგრეთვე, მისასაღმებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მისთვის მინიჭებული საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების დაწყება.

ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი მიგნებები სისხლის სამართლის პროცესის ყველა მონაწილე მხარეს დააფიქრებს მის წილ პასუხისმგებლობაზე უკეთესი სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებაში, ანგარიშში ასახული მიგნებები და რეკომენდაციები კი დაეხმარება მათ ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალი სტანდარტის დანერგვაში.

## მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს. პროექტი თავდაპირველად დაიწყო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში. მოგვიანებით, საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები. 2012 წლის პირველი დეკემბრიდან მასში ჩაერთო ქუთაისის საქალაქო სასამართლო, 2014 წლის მარტიდან კი - ბათუმის საქალაქო სასამართლო. 2016 წლის სექტემბრიდან პროცესს თელავისა და გორის სასამართლოებიც დაემატა. ხუთივე ქალაქში მონიტორინგის ერთიანი მეთოდი გამოყენებული.

დღემდე საიამ მონიტორინგის 13 ანგარიში მოამზადა, რომლებიც აღწერს 2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის მარტამდე არსებულ ტენდენციებს. ამჯერად ორგანიზაცია წარმოადგენს სასამართლო პროცესების მონიტორინგის №14 ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდს. ანგარიშში ასახული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ სპეციალურად ამ მიზნით შედგენილ კითხვარებს. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ასევე, სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსების მიერ. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება.

ანგარიშში არ არის განხილული და დამუშავებული სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა წარმოდგე-

ნილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს როგორც სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრების, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის. აგრეთვე, მონიტორინგის მიღმა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუანალიზებია ის საკითხები, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უსწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა - საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები.
- საქმეები, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით, საიამ 2744 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორისაა:

- 619 - პირველი წარდგენის სხდომა
- 527 - საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 478 - წინასასამართლო სხდომა
- 1103 - არსებითი განხილვის სხდომა
- 17 - საქმის არსებითი განხილვა სააპელაციო სასამართლოში

## ძირითადი მიზნები

### აღკვეთის ღონისძიებები:

- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს და პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელმა ჯამში 98% შეადგინა. საიას მონიტორები დაესწრნენ 686 ბრალდებულის პირველი წარდგენის 619 სხდომას. აქედან, აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იყო 667 ბრალდებულის მიმართ, მათ შორის, გირაო ან პატიმრობა - 653 შემთხვევაში. სასამართლოები, ფაქტობრივად, არ იყენებენ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახეებს.
- ბათუმის საქალაქო და თელავის რაიონულ სასამართლოებში შედარებით უკეთესი მაჩვენებელი დაფიქსირდა გაუსვლელითა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენების თვალსაზრისით. ბათუმის სასამართლომ - 6, თელავის სასამართლომ - 5, ხოლო თბილისის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებმა თითო-თითო შემთხვევაში გამოიყენეს აღკვეთის ღონისძიების ეს სახე.
- კვლავ პრობლემას წარმოადგენს და შესამჩნევად გაიზარდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების მაჩვენებელი. 334 პირისთვის შეფარდებული პატიმრობიდან დაუსაბუთებელი იყო 69 (21%), ხოლო 320 შემთხვევაში გამოყენებული გირაოდან - 98 (31%).
- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პროკურატურა 686 ბრალდებულიდან 454-ის (66%) მიმართ ითხოვდა პატიმრობას. ეს მაჩვენებელი წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 6 პროცენტული ერთეულითაა გაზრდილი.
- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სასამართლომ არ დააკმაყოფილა 116 (26%) ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი პატიმრობა. სასამართლოს მიერ პატიმრობის შუამდგომლობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 7 პროცენტული ერთეულით შემცირდა.
- 320 პირის მიმართ გამოყენებული გირაოდან 179 წარმოადგენდა ე.წ. საპატიმრო გირაოს (56%). აქედან 56 (30%) იყო დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული. ე.წ. საპატიმრო გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების მაჩვენებელი 7 პროცენტული ერთეულით შემცირდა.

## სათანადო სასამართლო კონტროლი:

- ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგრძნობლად იზრდება პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულთა გამოცხადება დაკავებულის სტატუსით. კერძოდ, 686-დან 518 პირი (76%) სასამართლოში დაკავებულის სტატუსით წარდგა, რაც წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემს 8 პროცენტული ერთეულით, ორი წლის წინანდელს კი - 20 პროცენტული ერთეულით აჭარბებს.
- სხდომებზე, ძირითადად, არ ხორციელდება ჯეროვანი სასამართლო კონტროლი დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით. 518 ბრალდებულიდან, უმრავლეს - 448 (86%) - შემთხვევაში, სასამართლო სხდომაზე საერთოდ არ განხილულა დაკავების კანონიერება.
- საია დაესწრო 213 წინასასამართლო სხდომას, რომლებზეც განიხილებოდა პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხი. სასამართლომ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა 213 შემთხვევიდან 195-ში (92%) უცვლელად დატოვა, აქედან 155 (80%) შემთხვევაში არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობა. 213 საქმიდან 18-ში (4%) სასამართლომ ბრალდებულს პატიმრობა გირაოთი შეუცვალა.
- წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარე ჩხრეკა-ამოღებას, ძირითადად, ატარებს საგამონაკლისო წესით. წინასასამართლო სხდომებზე წარდგენილი შუამდგომლობებიდან გამოიკვეთა, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების 167 შემთხვევიდან მხოლოდ 17-ში (10%) არსებობდა სასამართლოს წინასწარი ნებართვა, დანარჩენ 150 (90%) შემთხვევაში კი ჩხრეკა-ამოღება განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.
- ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით თბილისის, რუსთავის, ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობებს მოსამართლეები, უმრავლეს შემთხვევაში, აკმაყოფილებენ. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების შესახებ 16226 შუამდგომლობიდან არ დაკმაყოფილდა მხოლოდ 19 (0.1%).

- თბილისის, რუსთავის, ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული სასამართლოებიდან გამოთხოვნილი განჩინებები შაბლონურია. სასამართლო, ძირითადად, იშველიებს საკანონმდებლო ნორმებს, აქცენტს არ აკეთებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და არ მსჯელობს გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა-ამოღების ჩატარების მიზანშეწონილობაზე.

### **საპროცესო შეთანხმება:**

- 558 ბრალდებულის საქმიდან 98 (18%) შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების სხდომაზე არ განხილულა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი იყო წარმოდგენილი. 11 (2%) შემთხვევაში, პროცედურული დარღვევებით და მხარეთა პოზიციების მოსმენის გარეშე, მოსამართლემ 5 წუთზე ნაკლებ დროში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.
- 558 საქმიდან 190-ში (34%) მოსამართლეს ბრალდებულისთვის სრულყოფილად არ განუმარტავს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებები.
- 4 შემთხვევაში სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. მოსამართლემ მხოლოდ 48 (9%) საქმეში აღნიშნა, რომ სასჯელი კანონიერად და სამართლიანად მიაჩნდა.
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, უმეტესად, ისე დაამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციისა ან მისი ინტერესების შესახებ სასამართლო სხდომაზე პროკურორს არ უსაუბრია.
- სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და მათი დაცვის ქვეშ მყოფებს შორის არასათანადო კომუნიკაცია გამოვლინდა 293 შემთხვევიდან 18-ში (6%). ეს მონაცემი საგრძნობლად შემცირებულია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

### არსებითი სხდომა:

- საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო არსებითი განხილვის 1103 სხდომას. აქედან, სხდომის განხილვის შესახებ ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი (არ იყო განთავსებული არც განრიგში და არც სასამართლოს ვებგვერდზე) 89 შემთხვევაში (8%).
- პროცესი გადაიდო 1103-დან 456 შემთხვევაში (41%), რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო ბრალდების მხარის მოწმეთა არყოფნით (30%) ან საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მოტივით (18%). სხვა მიზეზებს შორის აქტუალური იყო ადვოკატის (13%) ან პროკურორის (10%) გამოუცხადებლობა.
- მონიტორინგმა აჩვენა, რომ სხდომის დაწყება დაგვიანდა, ძირითადად (38%), 30 წუთამდე დროით, თუმცა არანაკლებ ხშირად - 30 წუთზე მეტი ხნით (26%). უმრავლეს შემთხვევაში დაგვიანება განპირობებული იყო სასამართლოს მიზეზით (36%), ან დარბაზი იყო დაკავებული სხვა პროცესის მიმდინარეობის გამო (17%). მხარეთა დაგვიანების შედეგად, დროულად ვერ დაიწყო სხდომების 11%.
- საია დაესწრო არსებითი განხილვის 149 საქმეს, რომლებზეც მოსამართლემ განაჩენი გამოიტანა, აქედან: 20 (13%) - გამამართლებელი, 122 (82%) - გამამტყუნებელი, 7 (5%) - ნაწილობრივ გამამართლებელი. გამამართლებელ განაჩენთა პროცენტული მაჩვენებელი, პრაქტიკულად, წინა საანგარიშო პერიოდის მონაცემის იდენტურია.

### ოჯახური დანაშაულები:

- საიამ ოჯახში ძალადობის საქმეებზე (სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლი) განახორციელა პირველი წარდგენის 121 სხდომის მონიტორინგი 122 ბრალდებულის მიმართ, რაც საანგარიშო პერიოდში შესწავლილი პროცესების 18%-ია. 122-დან 115 შემთხვევაში ბრალდებული იყო კაცი, ხოლო 7-ში - ქალი.
- მონიტორინგმა აჩვენა, რომ 122-დან 28 (23%) შემთხვევაში, პირს, ოჯახში ძალადობასთან ერთად, ბრალი ჰქონდა წარდგენილი მუქარის მუხლითაც.
- 109 (90%) ბრალდებული პირველი წარდგენის სხდომაზე მოცხადდა დაკავებულის სახით. 60-ის (49%) მიმართ აღკვეთის

ლონისძიების სახით სასამართლომ გამოიყენა გირაო, ერთ შემთხვევაში - პირადი თავდებობა, 59-ს (48%) შეუფარდა პატიმრობა, ხოლო 2 შემთხვევაში ბრალდებულები დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

- ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით გამკაცრებულია ბრალდების მხარის მიდგომა და საპროცესო შეთანხმება, პრაქტიკულად, არ ფორმდება. საანგარიშო პერიოდში 523 საქმიდან (558 ბრალდებულის მიმართ) მხოლოდ 5 შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულ 7 პირთან.
- საია დააკვირდა არსებითი განხილვის 162 სხდომას ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით. აქედან, განაჩენი დადგა 56 საქმეზე: 39-ზე (70%) - გამამტყუნებელი, 3-ზე (5%) - ნაწილობრივ გამამართლებელი, 14-ზე (25%) - გამამართლებელი. ამ 14 შემთხვევიდან 7-ში პირის გამართლება განპირობებული იყო დაზარალებულთა მიერ ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენებაზე უარის თქმით.

### **ნარკოტიკული დანაშაულები:**

- საია დაესწრო ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით პირველი წარდგენის 136 სხდომას 143 ბრალდებულის მიმართ. 71-დან 4 შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი პატიმრობის შუამდგომლობა.
- ნარკოტიკული დანაშაულების შესახებ აღკვეთის ღონისძიებები, სხვა ტიპის დანაშაულებთან შედარებით, უფრო ხშირად არის დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული. საანგარიშო პერიოდში 667 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საიამ გამოავლინა 167 (25%) დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. აქედან 69 (41%) შემთხვევა ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს.
- დასწრებული პროცესებიდან, რომლებიც შეეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს, 160 საქმეზე (29%) ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.



- შენარჩუნებულია ტენდენცია, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების შედეგად ნარკოტიკულ დანაშაულებზე შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობა აღემატება სხვა კატეგორიის საქმეებზე გამოყენებული ჯარიმის თანხას. საანგარიშო პერიოდში ნარკოტიკულ დანაშაულებზე შეფარდებული ჯარიმის საშუალო ოდენობა<sup>1</sup> შემცირდა და 3850 ლარით განისაზღვრა,<sup>2</sup> სხვა დანაშაულებზე კი აღნიშნული თანხა 3201 ლარს შეადგენს.<sup>3</sup>
- საიას მონიტორები დაესწრნენ არსებითი განხილვის 65 სხდომას, რომლებიც შეეხებოდა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს. აქედან განაჩენი დადგა 4 საქმეზე. ყველა შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებული გამტყუნა და სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

---

<sup>1</sup> არ შეიცავს სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით გამოყენებულ ჯარიმებს.

<sup>2</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ჯარიმის საშუალო ოდენობა იყო 6778 ლარი.

<sup>3</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 4238 ლარს.

# პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები – ზოგადი მიმოხილვა

სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას. ეს არის სამართალწარმოების ის ეტაპი, როდესაც მოქალაქეთა უმრავლესობას პირველად უწევს სასამართლო სისტემასთან შეხება. სამართლიანი სასამართლოს უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით<sup>4</sup> და საერთაშორისო აქტებით,<sup>5</sup> ამიტომ ყველა საქმე პირველი წარდგენის სხდომის ეტაპიდანვე საჭიროებს სასამართლოს მკაცრ კონტროლს. ეროვნულ დონეზე კანონმდებელი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების მკაცრ ჩამონათვალს აკეთებს, რითაც იცავს ადამიანებს ყველზე მკაცრი ღონისძიების - პატიმრობის არამიზნობრივი გამოყენებისგან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 196-ე მუხლის შესაბამისად, პირის დაკავების შემთხვევაში, პროკურორი, გამოძიების ადგილის მიხედვით, მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

სსსკ-ის 199-ე მუხლით განსაზღვრული აღკვეთის ღონისძიების სახეებიდან, როგორცაა გირაო, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარღობის მეთვალყურეობა და პატიმრობა, სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების მიზნების აღსასრულებლად უნდა გამოიყენოს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი და ეფექტიანი ღონისძიება. ამასთან, აღკვეთის გარეშე პირის დატოვება უნდა იყოს თავდაპირველი ამოცანა ყველა ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დროს.<sup>6</sup>

მოსამართლემ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაასაბუთოს, რატომ ვერ უზრუნველყოფს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება აღნიშნული მიზნების მიღწევას. საჭიროებები და რისკები, გარდა კა-

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი.

<sup>5</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-6 მუხლი.

<sup>6</sup> „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 78, 2020წ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cjtDpi>.


ნონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებისა, უნდა გამო-  
მდინარეობდეს ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან  
და არ უნდა იყოს შაბლონურად მორგებული ყველა განსახილველ  
შემთხვევაზე, რადგან ბრალი შეერაცხება კონკრეტულ ინდივიდს  
კონკრეტული ქმედებისთვის.

## სხდომების ანალიზი

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ  
619 სხდომას 686 ბრალდებულის მიმართ. წინა საანგარიშო პერი-  
ოდის მსგავსად, სასამართლო, ძირითადად, კვლავ აღკვეთის ღო-  
ნისძიების ორ სახეს - გირაოს და პატიმრობას იყენებდა. ალტერნა-  
ტიული აღკვეთის ღონისძიება მხოლოდ 14 (2%) ბრალდებულს შეე-  
ფარდა. 19-ის (3%) მიმართ სასამართლომ არ გამოიყენა არცერთი  
სახე. 69 (21%) პირთან დაკავშირებით სასამართლომ საკმარისად არ  
დაასაბუთა პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა, ხოლო 98-  
თან (31%) - გირაო.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია აღკვე-  
თის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, მონიტორი-  
ნგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან  
2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*

დიაგრამა №1



## აღკვეთის ღონისძიებები ქალაქების/რაიონების მიხედვით

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები თბილისის საქალაქო სასამართლოში დაესწრნენ პირველი წარდგენის 306 სხდომას 343 ბრალდებულის მიმართ. სასამართლომ 152 (44%) პირს შეუფარდა გირაო, 178-ს (52%) - პატიმრობა, ერთს - პირადი თავდებობა და ერთს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. თითქმის იდენტური იყო ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი წინა საანგარიშო პერიოდშიც. სასამართლომ 11 (3%) შემთხვევაში ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შედარებით, ბათუმის საქალაქო სასამართლო უფრო ხშირად იყენებს შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. აღკვეთის ღონისძიების ეს სახე შეეფარდა 6 (5%) პირს. საიას მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 121 სხდომას 126 ბრალდებულის მიმართ, რა დროსაც 68 (54%) შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გირაო, 49-ში (39%) - პატიმრობა, ხოლო 3 (2%) შემთხვევაში ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საიას მონიტორები დაესწრნენ 111 სხდომას 120 პირის მიმართ. აქედან 64 (53%) ბრალდებულს შეეფარდა გირაო, 54-ს (45%) - პატიმრობა, ერთს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ხოლო ერთი ბრალდებული სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.


თელავის რაიონულ სასამართლოში მონიტორები დაესწრნენ პირველი წარდგენის 52 სხდომას 57 ბრალდებულის მიმართ. აქედან 28 (49%) პირს შეეფარდა გირაო, 20-ს (35%) - პატიმრობა, 5-ს (9%) - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია პირადი თავდებობა, 4 (7%) ბრალდებული კი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში საიას დაესწრო პირველი წარდგენის 19 სხდომას 30 პირის მიმართ. 6 (20%) შემთხვევაში ბრალდებულს შეეფარდა გირაო, ხოლო 24 (80%) შემთხვევაში - პატიმრობა. სასამართლოს არ გამოუყენებია ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა გორის რაიონულ სასამართლოშიც, სადაც პირველი წარდგენის 10 სხდომიდან, 10 პირის მიმართ, მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეეფარდა ბრალდებულს გირაო, დანარჩენ 9 შემთხვევაში კი - პატიმრობა.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ალკეეთის ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა ქალაქების მიხედვით (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №2



## სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა


სსსკ-ის 197-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა უნდა გამოარკვიოს მოსამართლემ და რა უფლებები უნდა განუმარტოს ბრალდებულს პირველი წარდგენის სხდომაზე. მნიშვნელოვანია, ამ უკანასკნელს სრულყოფილად, მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს ბრალდების არსი და უფლებები, მათ შორის, წამების ან არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევაში საჩივრის შეტანის უფლება, საპროცესო შეთანხმებით სარგებლობის უფლება. ამასთან, არკვევს, მიღწეულია თუ არა ბრალდების მხარესთან შეთანხმება, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, განუმარტავს სასჯელის სახეს და ზომას.

თუ პირი სასამართლოში დაკავებულის სახით წარდგა, მოსამართლე ამოწმებს დაკავების კანონიერებას, ისმენს პროკურატურის შუამდგომლობას ალკეეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მასზე დაცვის მხარის პოზიციას. ძალიან მნიშვნელოვანია, ამას არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი და მოსამართლემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სათანადო დრო დაუთმოს როგორც ბრალდებულისთვის უფლებების განმარტებას, ისე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გაცნობას.

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა 15 წუთსა ან უფრო ნაკლებ დროში ჩატარებული პროცესები. 10 წუთზე ნაკლები დრო დაეთმო 26 (4%) პროცესს, არაუმეტეს 15 წუთისა კი - 112-ს (18%), რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 4 პროცენტული ერთეულით მეტია. 15 წუთამდე დროში ჩატარებული პირველი წარდგენის სხდომა ბრალდებულის უფლებების სრულყოფილად განმარტებას ეჭვქვეშ აყენებს.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია იმ სხდომების სტატისტიკა, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატებოდა 15 წუთს (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით, ქალაქების მიხედვით).*

**დიაგრამა №3**



წინა საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 15 წუთამდე ჩატარებული სხდომების პროცენტული მაჩვენებელი 43-ს შეადგენდა. ამჯერად, აღინიშნა კლების დადებითი ტენდენცია და ის 24%-მდე შემცირდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში არცერთი პროცესი 15 წუთამდე დროში არ ჩატარებულა, რაც მისასაღმებელია. სხდომების უმეტესობის ხანგრძლივობა 20 წუთს აღემატებოდა.

**პროკურატურის მიდგომები**

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, სასამართლოში პროკურატურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების ნაწილი კვლავ შაბლონურია. ხშირად სხვადასხვა დანაშაულებში ბრალდებულ პირებთან მიმართებით პროკურატურა დაახლოებით ერთი და იმავე

ოღენობის გირაოს შეფარდებას ითხოვს, იმის მიუხედავად, რომ ბრალდებულთაგან მომდინარე შესაძლო საფრთხეები და მათი ქონებრივი მდგომარეობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავდება.

ბრალდების მხარე აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობაში ყოველთვის უთითებს მიზნებსა და საფუძვლებს, მაგრამ არგუმენტაცია ხშირად არ უკავშირდება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და ბრალდებულის მხრიდან რეალურად მოსალოდნელ საფრთხეებს.


კვლავ პრობლემად რჩება პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის არასათანადო არგუმენტირება. ბრალდების მხარე, ძირითადად, მუხლის სიმძიმეზე მითითებით და ერთგვაროვანი პრაქტიკის გავლენით ითხოვს პატიმრობას და არა - საგამონაკლისო წესით. ზოგიერთ შემთხვევაში ის აღნიშნულის დასასაბუთებლად იყენებს ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობას და ექსპერტიზის ჩასატარებლად სტაციონარში მისი მოთავსების საჭიროებას.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ბრალდების მხარეს ამოღებული აქვს ნივთიერი მტკიცებულებები, საქმეზე გამოკითხული პირები არიან პოლიციის თანამშრომლები, პროკურატურა კი აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობაში მიუთითებს მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეზე.

ასევე, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე აპელირებს მიმალვის საფრთხეზე, თუმცა არ აქვს წარმოდგენილი პირის საზღვრის კვეთის მონაცემები. დაცვის მხარის მზაობაზე, ჩააბაროს ბრალდებულმა პასპორტი, რათა გამოირიცხოს ქვეყნის ლეგალური გზით დატოვების საფრთხე, პროკურატურა პასუხობს, რომ საზღვრის კვეთა შესაძლებელია ოკუპირებული ტერიტორიების გავლითაც, რაც დაცვის მხარის არგუმენტის საპირწონედ ვერ გამოდგება.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით ბრალდების მხარის შუამდგომლობებში მითითებული მიზნებისა და საფუძვლების შესახებ (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*

## დიაგრამა №4



დიაგრამაზე წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ბრალდების მხარე ალკევის ღონისძიების შუამდგომლობის დასაბუთებისას ერთდროულად რამდენიმე საფუძველზე მიუთითებს, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში საფუძველები არ არის გამყარებული კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებით.

## დაცვის მხარის პოზიცია

პირველი წარდგენის სხდომაზე, ხშირ შემთხვევაში, ადვოკატებს არ აქვთ საკმარისი დრო დაცვის უფლების სრულყოფილად განხორციელებისთვის მტკიცებულებათა შეგროვების და სასამართლოში წარდგენის კუთხით. თუმცა, ამის მიუხედავად, პროცესის აღნიშნულ ეტაპზე ადვოკატის მონაწილეობა მნიშვნელოვანია. სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობისთვის ხშირად შეუცვლელია ადვოკატის როლი, მით უფრო, თუ საქმე დაკავებულ პირს ეხება.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც ადვოკატი არ ეწინააღმდეგებოდა ბრალდების მხარის მიერ შემოთავაზებული ალკევის ღონისძიების სახეს. ამის მიუხედავად, საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკება იყო. საპროცესო შეთანხმება, ცხადია, ბრალდებულის უფლებაა, თუმცა მოლაპარაკებების მიმდინარეობა ბრალდების მხარეს არ აკისრებს ვალდებულებას, აუცილებლად მიიღოს ადვოკატის მხრიდან შეთავაზებული პირობები. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საფუძველით ადვოკატის დუმისა, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბრალდებულის ინტერესებზე.



საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში (სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება). პროკურორის განმარტებით, ძალაში შესული განაჩენის მიხედვით, ბრალდებულს 5 წლის განმავლობაში ჩამორთმეული ჰქონდა მართვის მოწმობა. ამის მიუხედავად ის გადაადგილდებოდა ავტომობილით.

პროკურორმა განმარტა, რომ ბრალდებული წარსულში არაერთხელ იყო ნასამართლევით, რის გამოც არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. მისივე თქმით, მან უარი თქვა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე მას შემდეგ, რაც პატრულმა გააჩერა. პროკურორს შესწავლილი ჰქონდა ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ მის მშობლებს ჰქონდათ უძრავი ქონება, ამასთან, იგი არ იყო სოციალურად დაუცველი და მუშაობდა ავტომობილის ხელოსნად. ბრალდების მხარემ მოითხოვა გირაო 3000 ლარის ოდენობით.

დაცვის მხარის განცხადებით, ბრალდებული აღიარებდა დანაშაულს, ამასთან, პირველად არ ჰქონდა აღნიშნული მუხლით ბრალი წარდგენილი და სურდა საპროცესო შეთანხმების დადება. დაცვის მხარის მიზანი იყო სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, რაც ჩაითვლებოდა პირობითად. ადვოკატმა მოითხოვა გირაო 1000 ლარის ოდენობით. იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბრალი პირველად არ ჰქონდა წარდგენილი, ბრალდებულმა განმარტა, რომ ის ავტომობილის ხელოსანია და, შემოწმების მიზნით, ზოგჯერ უწევს მცირე მანძილებზე გადაადგილება, რასაც თავად აკრძალულ ქმედებად არ მიიჩნევდა.

საბოლოოდ, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა არც პროკურორის და არც ადვოკატის შუამდგომლობა და ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

საია, ცხადია, ვერ შეაფასებს ადვოკატის სტრატეგიას, თუმცა, რომ არა მოსამართლის მიერ საქმის გარემოებების და აღკვეთის ღონისძიების მიზნების სწორი შეფასება და განსაზღვრა, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იქნებოდა აღკვეთის ღონისძიება. ზემოხსენებული შემთხვევა იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს მოსამართლე.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრალდებულის და მისი ადვოკატის პოზიციები არ იყო თანხვედრაში, ან ადვოკატი არ იყო სათანადოდ მომზადებული. სავარაუდოდ, ადვოკატი არ ჰქონდა საკმარისი დრო ბრალდებულთან ეფექტიანი კომუნიკაციისა და დაცვის სტრატეგიის შეთანხმებისთვის.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო ტარებასა და მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექენაში (სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები, 273<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პირველი წარდგენის სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის განხილვისას ადვოკატმა ბრალდებულისგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა და მიუთითა, რომ მას ექიმის დანიშნულებით, ლეგალურად ჰქონდა ამ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების უფლება. მოსამართლის კითხვაზე, იყო თუ არა ბრალდებული ისეთი ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, რომელთა მიღების უფლებაც მას ექიმის დანიშნულების გარეშე არ ჰქონდა, ბრალდებულმა თანხმობით უპასუხა.

ბრალდებულისა და ადვოკატის ამგვარი განსხვავებული პოზიციების გათვალისწინებით, სასამართლომ უარი თქვა საპროცესო შეთანხმებაზე და მიუთითა, რომ მისი დამტკიცება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა იქნებოდა. ამავე სხდომაზე პროკურორმა ალკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვა 5000 ლარიანი გირაო, რასაც, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ დაეთანხმა ადვოკატი და თანხის შემცირება ითხოვა. საბოლოოდ, მოსამართლემ ბრალდებულს ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ შეუფარდა.

## ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება

### კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის თავისუფლების უფლება. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება მისი დაპატიმრების აუცილებლობა. აღნიშნული უფლება ადამიანს იცავს სამართალწარმოების ფარგლებში არამართლზომიერი და თვითნებური თავისუფლების შეზღუდვისგან.<sup>7</sup>

ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს. მან უნდა ამტკიცოს, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიება კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას და რატომ არის გამართლებული და პროპორციული პირის თავისუფლების უფლებაში ამგვარი ჩარევა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე (5) მუხლის შესაბამისად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. კანონმდებელი ზღუდავს როგორც ბრალდების მხარეს, ისე სასამართლოს და განსაზღვრავს, რომ პატიმრობა, როგორც ალკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა ბრალდებულის მიმალვის, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელშემშლის, ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად.<sup>8</sup>

საქართველოს კანონმდებლობით, არსებობს პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობა. ეს არის უფლებაში არამართლზომიერი ჩარევის პრევენციის მექანიზმი, რომელიც პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მოსამართლეს საშუალებას აძლევს, გადახედოს პატიმრობის მიზანშეწონილობას და პირს, რომლის მიმართაც შესაბამისი საფუძველი აღარ არსებობს, ალკვეთის ღონისძიების სახე შეუცვალოს.

<sup>7</sup> „ალკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 18, 2020წ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3cjtDpi>.

<sup>8</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.


## სასამართლო სხდომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ პირველი წარდგენის 295 სხდომაზე 334 პირს შეუფარდა პატიმრობა. 69 (21%) პირის მიმართ გამოყენებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი ან ზედმეტად მკაცრი. წინა ორ საანგარიშო პერიოდთან შედარებით,<sup>9</sup> ეს მაჩვენებელი საგრძნობლადაა გაზრდილი.

წინა საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი ტენდენცია არ შეცვლილა და 127 (38%) ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ბრალდების მხარემ და სასამართლომ კვლავ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე მიუთითეს.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია დაუსაბუთებელი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებები მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*


დიაგრამა №5



<sup>9</sup> წინა ორ საანგარიშო პერიოდში, წლების მიხედვით, პატიმრობის 12% და 15% იყო დაუსაბუთებელი.

დიაგრამა №6

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია დაუსაბუთებელი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებები ქალაქების მიხედვით (2018 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).




საანგარიშო პერიოდში თბილისში 178-დან 24 ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა დაუსაბუთებლად, რუსთავში - 24-დან 6-ს, ბათუმში - 49-დან 16-ს, თელავში - 20-დან 4-ს, ქუთაისში კი - 54-დან 18-ს. დადებითად უნდა შეფასდეს გორის მაგალითი, სადაც 9 პატიმრობიდან 8 შემთხვევაში სასამართლომ მისი გამოყენების მიზანშეწონილობა დაასაბუთა.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაზრდილია პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი.<sup>10</sup> პროკურატურა 686-დან 454 (66%) შემთხვევაში ითხოვდა პატიმრობას, საიდანაც სასამართლომ 116 (26%) შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამასთან, 8 პროცენტული ერთეულით არის შემცირებული სასამართლოს მხრიდან პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

<sup>10</sup> 594 სასამართლო პროცესზე წარდგენილი 668 ბრალდებულისგან პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა 399 (60%) შემთხვევაში. გენერალური პროკურატურის პოზიციით, ოჯახურ დანაშაულებზე გამკაცრებულმა მიდგომამ და ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულებზე განრიდების ზრდამ განაპირობა პატიმრობის საერთო მაჩვენებლის ზრდა.


ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ბრაღლების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის სიხშირე მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №7



ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობების სტატისტიკა მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №8



## აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება

### კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სსსკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, „გირაო არის ფულადი თანხა ან უძრავი ქონება“. ამავე მუხლით განისაზღვრა გირაოს მინიმალური ოდენობა - 1000 ლარი. არსებობს ორი ტიპის გირაო - პატიმრობის უზრუნველყოფით და უზრუნველყოფის გარეშე. გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გულისხმობს, რომ ბრალდებული პენიტენციურულ დაწესებულებაში რჩება გირაოს თანხის (ან მისი 50%-ის) გადახდამდე.<sup>11</sup>

გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ ბრალდებულს, რომელიც სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გამოცხადდა დაკავებულის სახით. თუმცა, აუცილებელი არ არის, სასამართლომ დაკავებული პირის მიმართ სწორედ აღკვეთის ღონისძიების ეს სახე გამოიყენოს.

აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და ზედმეტად დიდი ოდენობის გირაო, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას უდრის (ე.წ. შეფარული პატიმრობა). მისი დაკისრება განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია, როდესაც გამოყენებულია პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიება. იმავდროულად, მნიშვნელოვანია, გირაოს ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი. კერძოდ, ბრალდებული აღნიშნული ქონების დაკარგვით უნდა განიცდიდეს სერიოზულ მატერიალურ ზიანს, რათა გირაოს პირობები შეასრულოს.<sup>12</sup>

იმ შემთხვევაში, თუ პირი დაკისრებულ თანხას ვერ გადაიხდის, გირაო **შეიძლება** შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით. აღნიშნული დათქმა გულისხმობს, რომ არ არის სავალდებულო, თანხის გადაუხდელობის მოტივით, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება გაუმკაცრდეს. თავდაპირველად, პროკურორს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, მიმართოს თუ არა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით. შემდგომ ეტაპზე კი უკვე სასამართლო მსჯელობს, რატომ ვერ მოახერხა ბრალდებულმა გირაოს თანხის გადახდა, განზრახ აარიდა თავი, თუ ეს ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული.

<sup>11</sup> სსსკ-ის მე-200 (6) მუხლი.

<sup>12</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, 577-578.

## სასამართლო სხდომების ანალიზი

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო პირველი წარდგენის 291 სხდომას, სადაც 320 ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო, აქედან 98 (31%) შემთხვევაში - დაუსაბუთებლად.<sup>13</sup>

კვლავ მწვავე პრობლემად რჩება პროკურატურის დასაბუთებაში ბრალდებულის ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების ქონებაზე აპელირება, მაშინ, როდესაც თავად ბრალდებულს არ აქვს მათგან თანხმობა გირაოს უზრუნველყოფაზე.

პატიმრობისგან განსხვავებით, ბრალდების მხარე ნაკლებ დროს უთმობს გირაოს თანხის დასაბუთებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიებას. ხშირად ის აბსტრაქტულ საფრთხეებზე საუბრობს და ვერ ასაბუთებს, რატომ შეიძლება უზრუნველყოს გირაოს სახით 2000 ლარის შეფარდება ბრალდებულის სათანადო ქცევა და რატომ არ არის საკმარისი, მაგალითად, 1000 ან 1500 ლარი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კითხვა ადვოკატებისა და მოსამართლეების მხრიდან არაერთ პროცესზე დაისვა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე გულისხმიერებას იჩენდა ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის მიმართ და მხოლოდ მძიმე სასჯელზე აპელირებით არ უფარდებდა გირაოს სახით ისეთ თანხას, რომელიც მას ან მის ოჯახს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენებდა.

საანგარიშო პერიოდში ბრალდების მხარემ 221 ბრალდებულის მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება. აქედან სასამართლომ შუამ-

<sup>13</sup> საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც, მაგალითად, მოსამართლე გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობას აკმაყოფილებს ამ უკანასკნელის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, მაშინ, როცა ეს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლის მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი. ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევაში, მოსამართლეები არ იკვლევენ ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. ერთ შემთხვევაში, მართალია, დაცვის მხარე ეთანხმებოდა პროკურორის გირაოს გამოყენებაზე, თუმცა საიამ სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო მაინც დაუსაბუთებლად მიიჩნია. ამის მიზეზი ის იყო, რომ ადვოკატის თანხმობა ან სურვილი გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ ამძაფრებს ან ანეიტრალურებს იმ საფრთხეებს, რა მიზნითაც აღკვეთის კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება.




დგომლობა არ დააკმაყოფილა 17 (8%) შემთხვევაში - 5 პირს არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, ხოლო 12 პირთან დაკავშირებით გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, მათ შორის, ორ შემთხვევაში - დაცვის მხარის შუამდგომლობის გარეშე, საკუთარი ინიციატივით.

აღკვეთის ღონისძიების სახით პროკურორის მიერ მოთხოვნილი და დაკმაყოფილებული 204 გირაოდან 178 (87%) შემთხვევაში სასამართლომ თანხა შეამცირა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პროკურატურის შუამდგომლობები გირაოს თანხის ნაწილში არ არის დასაბუთებული ან იმდენად მყარი, რომ სასამართლომ მისი მსჯელობა გაიზიაროს.

საანგარიშო პერიოდში 320-დან 76 (24%) ბრალდებულის მიმართ სასამართლომ მინიმალური ოდენობის გირაო გამოიყენა.<sup>14</sup>

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სასამართლოების მიერ გამოყენებული გირაოს ოდენობების პროცენტული მაჩვენებლები (2018 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*

დიაგრამა №9




*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სასამართლოს მხრიდან პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობის შე-*

<sup>14</sup> წინა საანგარიშო პერიოდში მინიმალური რაოდენობით გირაოს გამოყენების მაჩვენებელი იყო 22%.


მცირების ტენდენცია მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №10




ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების ტენდენცია მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №11



ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები გირაოს თაობაზე, ქალაქების მიხედვით (2018 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №12




თბილისში 154 ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაოდან 51 იყო დაუსაბუთებელი. ქუთაისში - 66-დან 16, ბათუმში - 70-დან 28, თელავში კი - 29-დან მხოლოდ 3. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად გაზრდილია დაუსაბუთებელი გირაოს მაჩვენებელი თბილისსა და ბათუმში.<sup>15</sup>

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია, თუ რამდენი გირაო კატიმრობის უზრუნველყოფით იყო დაუსაბუთებელი (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).

<sup>15</sup> წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებლად გამოყენებული გირაოს მაჩვენებელმა შეადგინა: თბილისში - 25%, თელავში - 31%, ბათუმში - 30%, ქუთაისში - 36%.

## დიაგრამა №13



საანგარიშო პერიოდში 320 პირისთვის შეფარდებული გირაოდან სასამართლომ 179 (56%) შემთხვევაში გამოიყენა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. აქედან 59 (33%) იყო დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 5 პროცენტული ერთეულით გაიზარდა საპატიმრო გირაოს შეფარდების მაჩვენებელი, მისი დაუსაბუთებლად გამოყენება კი 4 პროცენტული ერთეულით შემცირდა.<sup>16</sup>

საიას შეფასებით, დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შერჩევის შემთხვევაში, აუცილებელი არ არის მისი გამოყენება პატიმრობის უზრუნველყოფით. გაურკვეველია არგუმენტაცია, რატომ უნდა გათავისუფლდეს პირი დაუყოვნებლივ სხდომის დარბაზიდან (მიუხედავად იმისა, არის თუ არა დაკავება ცნობილი უკანონოდ) პირადი თავდებობის, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების ან სხვა აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას და არა - გირაოს შემთხვევაში. იმაზე აპელირება, რომ ე.წ. საპატიმრო გირაო უზრუნველყოფს თანხის გადახდას, არ შეიძლება შეფასდეს წონად არგუმენტად. თუ ბრალდებული განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის გირაოს თანხას, არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბერკეტი - პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.<sup>17</sup>

<sup>16</sup> წინა საანგარიშო პერიოდში 320 გირაოდან 164 იყო - გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით (51%), აქედან 61 (37%) - დაუსაბუთებელი.

<sup>17</sup> „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, გვ. 38. 2020წ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2U1euSW>.

## პირადი თავდებობა

სსსკ-ის 203-ე მუხლის მიხედვით, პირადი თავდებობის დროს სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას. პირადი თავდებობის შერჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე, ბრალდებულის თანხმობით. თავდებს უნდა გააცნონ შესაბამისი ბრალდების არსი, ასევე, სასჯელი, რომელიც შეიძლება დაეკისროს ბრალდებულს და პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრება თავად მას, თუ ბრალდებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებას ჩაიდენს. გარდა ამისა, თითოეულ თავდებს ჩამოერთმევა თავდებობის შესახებ ხელწერილი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეს დაერთვება.<sup>18</sup>

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ისიც პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოიყენა თავდებობა. გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებისგან განსხვავებით, პირადი თავდებობა არ არის სასჯელზე დამოკიდებული ღონისძიება. მოსამართლეს მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების, თავდების რეპუტაციის, ბრალდებულის სათანადო ქცევის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით მისი დამაჯერებელი არგუმენტაციის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ამის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარემ სულ 4-ჯერ მოითხოვა პირადი თავდებობა, ხოლო სასამართლომ ის არცერთ შემთხვევაში არ დააკმაყოფილა.

## შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

აღკვეთის ღონისძიების სახით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით.<sup>19</sup> საანგარიშო პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლოს 57 პირისთვის შეეძლოთ მისი შეფარდება, თუმცა მხოლოდ 13-ს (22%) შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ ორ შემთხვევაში, როდესაც ბრალდების მხარე ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გა-

<sup>18</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 203-ე (4) მუხლი.

<sup>19</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლი.

მოყენებას და ორივე შემთხვევაში დაცვის მხარე ეთანხმებოდა მას, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით შეუფარდა ზემოსენებული ალკვეთის ღონისძიება, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

თელავის რაიონულ სასამართლოში პირს ბრალი ედებოდა გაუფრთხილებლობით ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენებაში (სსკ-ის 124-ე მუხლი). ბრალდების მხარე ალკვეთის ღონისძიების სახით ითხოვდა გირაოს შეფარდებას 4000 ლარის ოდენობით. მისი განმარტებით, არსებობდა ახალი დანამაჟულის ჩადენისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე. პირველი არგუმენტი საერთოდ არ დაუსაბუთებია, ხოლო მეორესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოწმეები ბრალდებულის მეგობრები იყვნენ. პროკურორს არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მის მიერ დასახელებული საფრთხეები იყო დაუსაბუთებელი და შაბლონური. ბრალდებული დაეთანხმა და მხოლოდ გირაოს თანხის შემცირება ითხოვა. ამის მიუხედავად, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და პირს შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

### სხდომები, რომლებზეც სასამართლო არ გამოიყენა ალკვეთის ღონისძიება

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე არ გამოიყენა 19 (3%) ბრალდებულის მიმართ. 10 შემთხვევაში ალკვეთის ღონისძიება არ შეუფარდათ პირებს, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ პატიმრობაში ან იხდიდნენ სასჯელს. 4 შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობა და ბრალდებულის მიმართ არ გამოიყენა ალკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, ხოლო 5 შემთხვევაში ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილ გირაოსთან მიმართებით.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენებაში (სსკ-ის 120-ე მუხლი). პროკურატურამ პირველი წარდგენის სხდომაზე მოითხოვა გირაო 2000 ლარის ოდენობით. განმარტა, რომ მთავარი მოწმე იყო ბრალდებულის მეგობარი და არსებობდა მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე. ბრალდებულის დაეთანხმა გირაოს გამოყენებას, მაგრამ მოითხოვა თანხის შემცირება. მოსამართლემ ბრალდებულს არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე. აღნიშნული კი დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ პროკურორის მიერ მოყვანილი ერთადერთი არგუმენტი ვერ იქნებოდა რეალური, ვინაიდან შემთხვევიდან ორი წელი იყო გასული და არ არსებობდა არანაირი მტკიცებულების განადგურების და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე.

## აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესახებ სასამართლო სხდომები

### კანონმდებლობის ანალიზი

წინასასამართლო სხდომის მოსამართლე, მხარის ინიციატივით, ხოლო პატიმრობის შემთხვევაში - საკუთარი ინიციატივით, განიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობას. თუ ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია, პირველივე სხდომაზე იმსჯელოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობაზე, იმის მიუხედავად, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა ამასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ სასამართლო ვალდებულია, აღნიშნული საკითხი ორ თვეში ერთხელ, თავისი ინიციატივით განიხილოს.<sup>20</sup>

### სასამართლო სხდომების ანალიზი

საია დაესწრო 221 წინასასამართლო სხდომას, რომლებზეც ბრალდებული სასამართლოს წინაშე წარდგა პატიმრობის დაწესებულებიდან. აქედან 213 შემთხვევაში მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გადასინჯა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული

<sup>20</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლი.

პატიმრობის საკითხი, ხოლო 8 შემთხვევაში, წინასასამართლო სხდომის გადადების ან/და პროცესის გაგრძელების გამო, ამასთან დაკავშირებით მსჯელობა არ გამართულა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 213-დან 195 (92%) პირთან მიმართებით უცვლელად დატოვა. აქედან 155 (80%) შემთხვევაში მოსამართლემ არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება.<sup>21</sup>

სასამართლომ 40 (20%) პირთან მიმართებით სრულად დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება. დასაბუთების ნაწილში მოსამართლე საუბრობდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შემთხვევაში ბრალდებულის მხრიდან მომდინარე ისეთ საფრთხეებზე, როგორცაა ახალი დანაშაულის ჩადენა, მიმალვა, დაზარალებულის უსაფრთხოება, მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესზე ბრალდებულის შესაძლო ზემოქმედება და სხვა. 213 საქმიდან 18 (8%) შემთხვევაში სასამართლომ პატიმრობა გირაოთი შეცვალა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს პატიმრობის გამოყენებასთან მიმართებით მოსამართლის სწორ სამართლებრივ შეფასებას.

პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს პატიმრობით შეცვლის თაობაზე, რაც დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ ბრალდებულმა არ გადაიხადა გირაოს თანხა - 2000 ლარი. დაცვის მხარე მას არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნები ისედაც სრულდებოდა, ბრალდებული ზიანს ეტაპობრივად ანაზღაურებდა და სწორედ ამიტომ ვერ მოახერხა გირაოს გადახდა. ამის დასადასტურებლად მან ზიანის ანაზღაურების ქვითარი წარმოადგინა. მოსამართლემ განმარტა, რომ, ვინაიდან მიზნები ისედაც სრულდებოდა, მხოლოდ თანხის გადაუხდელობა ვერ განდებოდა პატიმრობის გამოყენების საფუძველი. შესაბამისად, პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

<sup>21</sup> წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ პატიმრობა უცვლელად დატოვა 182 (96%) შემთხვევაში. აქედან 137-ში (75%) მოსამართლემ არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება.



# დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება

## კანონმდებლობის მიმოხილვა

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუცია იცავს ადამიანის თავისუფლების უფლებას,<sup>23</sup> ხოლო დაკავებას უშვებს კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ: პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; მიიძალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; გაანადგურებს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას, გამოძიების ადგილის მიხედვით, სასამართლოს, პროკურორის შუამდგომლობით, ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაკავების თაობაზე.<sup>24</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.<sup>25</sup>

კანონმდებელი, კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უშვებს განჩინების გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, პირის დაკავების შესაძლებლობასაც. ასეთ დროს მოსამართლე ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე განიხილავს დაკავების კანონიერებას და ამოწმებს სასამართლოს განჩინების გარეშე პირის დაკავების აუცილებლობის საკითხს. უკანონოდ დაკავების შემთხვევაში, კანონმდებელი ბრალდებულს აძლევს შესაძლებლობას, სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს და მიიღოს საპროცესო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.<sup>26</sup> პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავების კანონიერების განხილვა ბრალდებულს იცავს თავისუფლების უფლებაში უხეში, არამართლზომიერი ჩარევისგან. მნიშვნელოვანია, რომ შემოწმდეს როგორც მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განხორციელებული დაკავება. ეს სამართლებრივი მექანიზმი ემსახურება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან თვითნებური გადა-

<sup>22</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლი.

<sup>23</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი.

<sup>24</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე (1) მუხლი.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე (11) მუხლი, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 (4) მუხლი.

წყვეტილების მიღების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.<sup>27</sup>

## სასამართლო სხდომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემას წარმოადგენდა გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით დაკავების კანონიერებაზე საჯაროდ მსჯელობა ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე. მოსამართლეთა განმარტებით, ისინი სასამართლო სხდომამდე განიხილავენ დაკავების კანონიერებას და აფასებენ მის საფუძვლებს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხი საჯაროდ განიხილებოდა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ბრალდებულს ადვოკატი არ ჰყავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა, სასამართლოს ამ საკითხზე საკუთარი არგუმენტაცია წარუდგინოს. როდესაც დაკავების კანონიერების შეფასება ხდება სხდომის დარბაზის მიღმა, ასეთ დროს მოსამართლე უყრდნობა მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ დაკავების ოქმში ასახულ პოზიციას.

პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავებულის სახით წარდგა 518 (76%) ბრალდებული. ბოლო ორი საანგარიშო პერიოდი, აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება. ამჯერად ის 8 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი წინა პერიოდთან შედარებით.<sup>28</sup> უმრავლეს - 448 (86%) შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე არ მომხდარა დაკავების კანონიერების შემოწმება.

დანარჩენი 70-დან 17 (23%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე. სხდომაზე გამოვლინდა, რომ 53 ბრალდებულის დაკავება მოხდა გადაუდებელი აუცილებლობის წესით. სასამართლომ მხოლოდ 10 ბრალდებულის საქმე განიხილა და დაკავება კანონიერად მიიჩნია. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო, ძირითადად, მხოლოდ მას შემდეგ მსჯელობს, რაც მას შუამდგომლობით დაცვის მხარე მიმართავს. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სასამართლო შაბლონურად მიუდგა საკითხის შეფასებას.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

<sup>27</sup> ნიპარიშვილი ბ; პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2016, №2, 53.

<sup>28</sup> წინა საანგარიშო პერიოდში 668-დან 452 (68%) ბრალდებული სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით.

პირს ბრალი ედებოდა ყაჩაღობის (სსკ-ის 179-ე მუხლი) ჩადენაში. პირველი წარდგენის სხდომაზე მისმა ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა დაკავების უკანონოდ ცნობის შესახებ, არგუმენტად კი კანონმდებლობით დადგენილი ვადების გასვლა დაასახელა. ადვოკატს ბრალდებულები დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მას გადაადგილების თავისუფლება შეუზღუდეს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს დაკავების ოქმში იყო მითითებული. კერძოდ, მისი თქმით, პოლიციელებმა ის საკუთარი საცხოვრებელი სახლიდან გაიყვანეს, რამდენიმე საათის მანძილზე ავტომობილით დაატარებდნენ ქალაქში და ყაჩაღობის აღიარებას სთხოვდნენ. ამის შემდეგ ის მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც დაკავების ოქმის შედგენამდე რამდენიმე საათი გაატარა. მოსამართლემ ბრალდებულს ჰკითხა, შებოჭილი იყო თუ არა ხელბორკილით და გამოთქვა თუ არა წასვლის სურვილი. ბრალდებულმა უპასუხა, რომ ის არ ყოფილა ხელბორკილით შებოჭილი და არც წასვლის სურვილი გამოუთქვამს, რადგან ერთმნიშვნელოვანი იყო, რომ მას ამის შესაძლებლობას არავინ მისცემდა. ამასთან, აღნიშნა, რომ დაკავებისთანავე მისთვის არ გადაუციათ დაკავების ოქმი. მოსამართლემ მიიჩნია, რომ დაკავებულად არ ითვლება პირი, თუ მას არ ადევს ხელბორკილი.

მოსამართლეების ნაწილის მხრიდან გამოვლენილი ამგვარი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ დაკავების კანონიერებაზე არ სორციელდება სათანადო სასამართლო კონტროლი. აღნიშნული ახალისებს ბრალდების მხარის მიერ პირისთვის თავისუფლების უფლების შეზღუდვას, მათ შორის, მაშინაც, როდესაც არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით პირის დაკავების კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები.

# წინასასამართლო სხდომებზე მტკიცებულებათა დასაშვებობა

## შესავალი

წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, სადაც მოსამართლე მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს განიხილავს. პროცესის შუალედური სხდომა, შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის სახით, დასკვნის ეტაპადაც იქცეს. წინასასამართლო სხდომის მოსამართლე უფლებამოსილია, შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ალბათობის მაღალი ხარისხით, არ იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სწორედ წარმოდგენილმა ბრალდებულმა ჩაიდინა მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება.<sup>29</sup> წინასასამართლო სხდომაზე დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები, უმეტესწილად, განაპირობებს საქმის არსებითი განხილვის შედეგსაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებულ შუამდგომლობებთან დაკავშირებით უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.


## სასამართლო სხდომების ანალიზი

საიას მონიტორინგმა აჩვენა, რომ წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის ნაწილში სასამართლო, ძირითადად, მიუკერძოებლად მოქმედებს. მოსამართლეები, უმეტესწილად, აკმაყოფილებდნენ როგორც დაცვის, ისე ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს კანონის შესაბამისად მოპოვებული რელევანტურ მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებლები ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*

<sup>29</sup> სსკ-ის 219-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

დიაგრამა №14



470 წინასასამართლო სხდომიდან ბრალდების მხარის შუამდგომლობა 462 (98%) შემთხვევაში - სრულად, 8-ში (2%) კი - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. დაცვის მხარემ სასამართლოში მტკიცებულებები წარადგინა 141 შემთხვევაში, საიდანაც 131 (92%) - სრულად, 5 (4%) კი - ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 5 (4%) შემთხვევაში სასამართლომ დაცვის მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დაუშვებლად ცნო.

**ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:**

ბრალდების მხარემ 470 წინასასამართლო სხდომაზე დააყენა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი. აქედან, განხილვის დროს ადვოკატი ჰყავდა 387 (82%) ბრალდებულს.<sup>30</sup>

**დაცვის მხარის პოზიცია პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:**

(39%) შემთხვევაში სრულად დაუჭირა მხარი მტკიცებულებების დასაშვებლად ცნობას;<sup>31</sup>

<sup>30</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ადვოკატი ჰყავდა ბრალდებულთა 77%-ს.

<sup>31</sup> წინა საანგარიშო პერიოდში 201 (48%) შემთხვევაში დაცვამ სრულად დაუჭირა მხარი მტკიცებულებების დასაშვებლად ცნობას.

(8%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაეთანხმა ბრალდების მხარეს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე;

(53%) შემთხვევაში სრულად არ დაუჭირა მხარი პროკურორის შუამდგომლობას.

დაცვის მხარემ 141 (34%)<sup>32</sup> შემთხვევაში წარმოადგინა მტკიცებულებები სასამართლოში და მოითხოვა მათი დასაშვებად ცნობა. აქედან 94 (66%) შემთხვევაში ბრალდების მხარემ აღნიშნული მტკიცებულებები სრულად, 12-ში (9%) კი - ნაწილობრივ სადავო განადა. 35 (25%) შემთხვევაში ის დაეთანხმა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უდავოდ დამტკიცებას.

მართალია, კანონმდებელი მტკიცების ტვირთს ბრალდების მხარეს აკისრებს, თუმცა შეჯიბრებითობის პირობებში მნიშვნელოვანია დაცვის მხარის როლი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გაბათილებისა და საკუთარი მტკიცებულებების წარმოდგენის ნაწილში. ზემოთ მოყვანილი ციფრები კი ცხადყოფს, რომ დაცვის მხარე ამ პროცესში არ არის აქტიური.

**ამ საანგარიშო პერიოდში, გასული წლის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთ საქმეზე არ შეწყვეტილა.**

---

<sup>32</sup> წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა იდენტური მაჩვენებელი - 141 (34%) შემთხვევა.

# გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი

## შესავალი

ჩხრეკა-ამოღება მიეკუთვნება იმ საგამოძიებო მოქმედებათა კატეგორიას, რომელიც მაღალი ინტენსივობით იჭრება პირის პირად ცხოვრებაში და ხელყოფს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. სწორედ პირად ცხოვრებაში არამართლზომიერი ჩარევის რისკების შემცირების უზრუნველსაყოფად, კანონმდებელმა ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედებაზე დააწესა მკაცრი სასამართლო კონტროლი.

სსსკ-ის 112-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლე გასცემს წინასწარ ნებართვას აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების განხორციელებაზე, ხოლო, გამონაკლის შემთხვევაში, ე.წ. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ჩხრეკა-ამოღების ჩატარებისას, მისი კანონიერების საკითხს განიხილავს. სასამართლომ უნდა შეაფასოს, ამ დროს რამდენად დაცული იყო შესაბამისი პროცედურები, არსებობდა თუ არა მოსამართლის განჩინების გარეშე მისი ჩატარების საფუძველი, კერძოდ, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილი იყო ამ საგამოძიებო მოქმედების დაუყოვნებლივ განხორციელება და რა შედეგი შეიძლებოდა გამოეწვია დაყოვნებას.

## სასამართლო სხდომების ანალიზი


საანგარიშო პერიოდში ჩხრეკა-ამოღება ბრალდების მხარის მიერ, ძირითადად, საგამონაკლისო წესით ტარდებოდა. 470 წინასასამართლო სხდომიდან პროკურორმა 191 (41%) შემთხვევაში წარმოადგინა ჩხრეკისა და ამოღების ოქმი და მოითხოვა საქმეში მტკიცებულებად დართვა. აქედან 24 შემთხვევაში უცნობია, თუ რა წესით განხორციელდა ჩხრეკის და ამოღების ოპერაცია.

ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების მიხედვით დადგინდა, რომ ჩხრეკა-ამოღების 167 შემთხვევიდან მხოლოდ 17 (10%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 150 (90%) - საგამონაკლისო წესით, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ამ 150-დან 143 (95%) შემთხვევაში მოსამართლემ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ხოლო 7-თან დაკავშირებით (5%) სასამართლოს გადაწყვეტილება უცნობი დარჩა.

ჩხრეკა-ამოლება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით 53 (35%) შემთხვევაში ჩატარდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე,<sup>33</sup> 29-ში (19%) - საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე,<sup>34</sup> 40-ში (27%) - სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე,<sup>35</sup> ხოლო 28 (19%) შემთხვევაში - სსკ-ის სხვა თავებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოლების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით გამოვლენილი ტენდენციები მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია ამ საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სიხშირეს აკვირდებოდა.*

**დიაგრამა №15**



შეიძლება ითქვას რომ, ჩხრეკა-ამოლება ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი საგამოძიებო მოქმედებაა. ხშირად გამოძიებისთვის იმდენად მნიშვნელოვანია ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, რომ კანონმდებელმა დაუშვა ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების შეზღუდვა.<sup>36</sup> თუმცა, იმავდროულად, ჩხრეკა-ამოლების გამოყენების სიხშირე და პირად ცხოვრებაში მისი შეჭრის ინტენსივობა კიდევ უფრო მეტ პასუხის-

<sup>33</sup> წარმოდგენილი მონაცემები ეხება სსკ-ის 260-ე, 273-ე და 265-ე მუხლებს.  
<sup>34</sup> წარმოდგენილი მონაცემები ეხება სსკ-ის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლებს.  
<sup>35</sup> წარმოდგენილი მონაცემები ეხება სსკ-ის 108-ე, 109-ე, 117-ე, 126-ე, 126<sup>1</sup>-ე და 120-ე მუხლებს.  
<sup>36</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი.



მგებლობას აკისრებს ბრალდების მხარეს და სასამართლოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის პროპორციულად შეაფასოს მისი ჩატარების აუცილებლობა.

ზემოაღნიშნული დიაგრამა ნათლად აჩვენებს, რომ პროკურატურა წლების განმავლობაში ამ ტიპის საგამოძიებო მოქმედებებს, ძირითადად, საგამონაკლისო წესით ატარებს. ასევე, უკიდურესად მაღალია სასამართლოს მიერ წინასწარი ნებართვის გარეშე განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობის მაჩვენებელი.

### **სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღება**

მხოლოდ სასამართლო სხდომებზე დასწრებით საია მოკლებულია შესაძლებლობას, შინაარსობრივად შეაფასოს საგამონაკლისო წესით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების შესახებ გაცემული განჩინებების დასაბუთების ხარისხი. შესაბამისად, ანგარიშის სრულყოფის მიზნით, ამ საანგარიშო პერიოდში საიამ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო და თელავის რაიონული სასამართლოებიდან გამოითხოვა ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით გაცემული განჩინებები და რელევანტური ინფორმაცია,<sup>37</sup> რომელიც შეეხებოდა 2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდს. კერძოდ:


- რამდენ შემთხვევაში მიმართა საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას ჩხრეკა-ამოღების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის თაობაზე და რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ან/და არ დაკმაყოფილდა აღნიშნული შუამდგომლობა.
- რამდენ შემთხვევაში მიმართა პროკურატურამ სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შუამდგომლობით და რამდენ შემთხვევაში დაკმაყოფილდა ან/და არ დაკმაყოფილდა.
- შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, მოსამართლის მიერ გაცემული 30 (ოცდაათი) განჩინება - წინასწარი ნებართვის გარეშე

<sup>37</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლომ საიას არ მიაწოდა განჩინებები ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებით.

ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების დაკმაყოფილების ან/და მასზე უარის თქმის შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების და სასამართლოს მიერ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

დიაგრამა №16



მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებს წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების შესახებ შუამდგომლობას.

### განჩინებების ანალიზი

ოთხივე სასამართლოდან მოწოდებული განჩინებების ანალიზიდან იკვთება, რომ ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, შაბლონურია და დასაბუთების ნაწილში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ყველა განჩინება ერთ საქმეზეა გაცემული.

საიამ შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული 20 განჩინება. შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ განჩინებათა 70% არ შეიცავს არანაირ არგუმენტაციას იმის თაობაზე, თუ რა ფაქტობრივი მონაცემები დაედო საფუძვლად გამოყენებულ

საგამოძიებო მოქმედებას. ის შემოიფარგლება ისეთი შაბლონური ფრაზით, როგორცაა - „საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია პროკურორის მიერ, ქმნიდა საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს დასაბუთებული ვარაუდისთვის.“ განსახილველ დოკუმენტთა შორის განსხვავებას მხოლოდ საგამოძიებო მოქმედებათა ტიპი (ჩხრეკა ან ამოღება), მათი განხორციელების დრო და ადრესატი ქმნის, რაც ამგვარ განჩინებათა ფორმალურ ბუნებაზე მიუთითებს.

განჩინებებში გადმოტანილია სისხლის სამართლის საქმეებიდან საგამოძიებო მოქმედებების ამსახველი ინფორმაციის ერთობლიობა, თუმცა დასაბუთების ნაწილში არსად ჩანს, თუ რა მონაცემებს დაეყრდნო მოსამართლე ან რომელი მათგანი მიიჩნია პირის პირად ცხოვრებაში ჩარევის წონად არგუმენტად.

განჩინებების 30% მეტნაკლებად დასაბუთებულია, თუმცა არც ამ შემთხვევაში ხდება საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და ინფორმაციის ნათლად მისადაგება საგამოძიებო მოქმედების აუცილებლობის წესით ჩატარების საპროცესო კანონმდებლობასთან.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ჩხრეკა-ამოღების განხორციელების ფაქტობრივ წინაპირობად „საკმარისი“ და „რელევანტური“ მიზეზების არსებობას მოითხოვს.<sup>38</sup>

გამოთხოვნილ განჩინებათა შორის აღმოჩნდა ისეთებიც, რომლებითაც არ არის დაკმაყოფილებული პროკურორის შუამდგომლობა სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დაკანონების თაობაზე. ყველა შესწავლილ შემთხვევაში, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის მიზეზად მითითებულია სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოსთვის მიმართვის 24 საათიანი ვადის დარღვევა. ამ

<sup>38</sup> საქმეში - *სმირნოვი რუსეთის წინააღმდეგ* - დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. არგუმენტაციის ნაწილში სასამართლომ, სხვა მიზეზთა შორის, მიუთითა შემდეგი გარემოება: „ოქტიანბრისკის სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ იმ დასკვნით, რომ ბრძანება დასაბუთებული იყო. მან მიუთითა ოთხ დასათაურებულ დოკუმენტსა და სხვა დაუდგენელ მასალაზე, მათი შინაარსის აღწერის გარეშე და კომენტარი არ გაუკეთებია ამ მასალების რელევანტურობასთან დაკავშირებით. სასამართლო ორგანოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ჩხრეკის შესახებ ბრძანების გაცემისთვის საჭირო და საკმარისი საფუძვლის უზრუნველსაყოფად“. საქმე - Smirnov V. Russia (71362/01), პარაგრაფი №47.

საკითხზე იკვეთება მოსამართლეთა გულმოდგინე მიდგომა, ვინაიდან რამდენიმეწუთიანი (მაგალითად, 6 წუთიანი) ცლომილებებიც სათანადო ყურადღებით არის შესწავლილი და პასუხგაცემული. თუმცა, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ უარის მიზეზად მხოლოდ ვადის დაუცველობა ფიგურირებს და არა - ასევე, სხვა პროცედურული თუ შინაარსობრივი მოთხოვნების დარღვევა, შესაძლოა, მიუთითებდეს სწორედ ზემოთ განვითარებული მსჯელობის მართებულობაზე, რომ ამ საკითხებს მოსამართლეთა მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევა.

საიამ შეისწავლა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული 10 განჩინება წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერების თაობაზე. ფაქტობრივი გარემოებების აღწერის ხარისხი არ იძლეოდა იმის გარჩევის შესაძლებლობას, მტკიცებულების რა სახით განადგურებასა თუ დაზიანებაზე იყო კონკრეტულად საუბარი. სასამართლო ამ შემთხვევაშიც შაბლონურად იყენებს იდენტურ ტექსტებს:

„...საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს და წარმოდგენილია პროკურორის მიერ, ქმნიდა საკმარის ფაქტობრივ საფუძვლებს დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ... ამოღებული ... წარმოადგენდა საქმისათვის მნიშვნელოვან საგანს და ამოღების დაყოვნებას, შესაძლოა, გამოეწვია მტკიცებულების დაზიანება ან განადგურება.“

საიამ ასევე შეისწავლა ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან მოწოდებული 30 განჩინება. ისევე, როგორც წინა ორი სასამართლოს შემთხვევაში, ისინი არ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის მაღალ სტანდარტს. განჩინებებიდან არ ირკვევა, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებს დაეყრდნო სასამართლო ან რა მიიჩნია გადაუდებელი აუცილებლობის რელევანტურ არგუმენტად.

თელავის რაიონული სასამართლოდან მოწოდებულ 5 განჩინებას, რაიონული მდებარეობის გარდა, ზემოხსენებული სასამართლოების მიერ გაცემული განჩინებებისგან არაფერი განასხვავებს. აქაც, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, სასამართლო ძირითადად იშველიებს საკანონმდებლო ნორმებს, აქცენტს არ აკეთებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, არ მსჯელობს გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკა-ამოღების ჩატარების კონკრეტულ მიზანშეწონილობასა და იმ შესაძლო საფრთხეებზე, რომლებიც არსებობდა საგამოძიებო მოქმედების დაყოვნების შემთხვევაში მტკიცებულების განადგურების თვალსაზრისით.

# სამართალწარმოება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით

## საპანონდებლო მიმოხილვა

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე.<sup>39</sup> საპროცესო შეთანხმება - ეს არის სპეციალური, გამართლებული სამართალწარმოება, როდესაც მოსამართლეს განაჩენი გამოაქვს არსებითი განხილვის, მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე.

ასეთ დროს საქმის განხილვა ხდება სწრაფად და ეფექტიანად. შესაბამისად, იზოგება დრო, მატერიალური და ადამიანური რესურსი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ამასთან, ბრალდებულისგან კანონით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს და, თუკი საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელი კანონიერი და სამართლიანია, იღებს გადაწყვეტილებას არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია, საქმე დაუბრუნოს პროკურორს ან/და კანონით დადგენილი წესით გააგრძელოს მისი განხილვა.

## გამოვლენილი ტენდენციები


საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაეწინაურნენ საპროცესო შეთანხმების 527 სხდომას 558 პირის მიმართ. დაფიქსირდა მხოლოდ 4 შემთხვევა, როდესაც სასამართლომ საპროცესო შეთანხმების თაობაზე პროკურატურის მიერ წარდგენილი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ყველაზე ხშირად, 160 შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე, 135 შემთხვევაში - საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე, ხოლო 55-ში - სატრანსპორტო დანაშაულზე.

<sup>39</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე (1) მუხლი.

ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია დანაშაულები, რომლებზეც შედგა საპროცესო შეთანხმება (2019 წლის მარტიდან 20120 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №17



### ბრალდებულთათვის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტება

ბრალდებულისთვის საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებების განმარტება და მოსამართლის მიერ სსკ-ის 212-ე მუხლით განსაზღვრული ყველა საკითხის სრულყოფილად გამოკვლევა ხელს უწყობს სასამართლო კონტროლის განხორციელებას და გამოირიცხავს მასთან დაკავშირებით რაიმე წინააღმდეგობის არსებობას. თუ მოსამართლე ბრალდებულისგან/მსჯავრდებულისგან ვერ მიიღებს დამარწმუნებელ პასუხებს კანონით გათვალისწინებულ გარემოებებზე, შეუძლია, უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

### გამოვლენილი ტენდენციები

558 სხდომიდან, რომლებსაც საიას მონიტორები დაესწრნენ, 190-ზე (34%) მოსამართლეს ბრალდებულისთვის სრულყოფილად არ განუმარტავს საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული უფლებები. 52 (9%) შემთხვევაში მოსამართლეს ბრალდებულისთვის არ

უკითხავს, ხომ არ ჰქონდა ადგილი მის მიმართ წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან. 80 (14%) შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა, რომ მის მიერ წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე საჩივრის შეტანა ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაუარესებული მაჩვენებელია.<sup>40</sup>

## მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვის პრაქტიკა

როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმის განხილვა და მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს ღია სასამართლო სხდომაზე. ეს ზოგადი წესი ვრცელდება საპროცესო შეთანხმების ოქმისა და არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ შუამდგომლობის გამოკვლევაზეც.<sup>41</sup> საქმის განხილვა უნდა მიმდინარეობდეს სრული პროცედურული წესების დაცვით, ღიად და საჯაროდ.

## გამოვლენილი ტენდენციები

558 საქმიდან 98 (18%) შემთხვევაში პროცესზე არ განხილულა ფაქტობრივი გარემოებები და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი იყო წარმოდგენილი.

85 შემთხვევაში სასამართლო მოუწოდებდა ბრალდების მხარეს, შუამდგომლობის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წარმოედგინა, 13 შემთხვევაში კი ეს ინიციატივა პროკურორს ეკუთვნოდა.

11 (2%) შემთხვევაში მოსამართლემ 5 წუთზე ნაკლებ დროში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება პროცედურული დარღვევებით და მხარეთა პოზიციების მოსმენის გარეშე. ასეთ დროს მოსამართლეები ფორმალურად ეკიდებიან საკითხს და სამართალწარმოების ჯეროვანი კონტროლი, ფაქტობრივად, არ ხორციელდება.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

<sup>40</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 10%-ს შეადგენდა.

<sup>41</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, გვ. 639. თბილისი, 2015. იხ. <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ssssk-komentari.pdf>.

ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა მხოლოდ ბრალდების არსი, წარმოდგენილი მხარეები და პირდაპირ დამტკიცა საპროცესო შეთანხმება შესაბამისი პირობების მითითებით. ამისთვის მას სულ 2 წუთი დასჭირდა. მხარეებმა მარტო ის თქვეს, რომ თანახმა იყვნენ, საპროცესო შეთანხმება დამტკიცებულიყო.

## სასამართლოს მიერ სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე მსჯელობა

სსსკ-ის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, უპირობოდ გაიზიაროს და დამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტი იმისთვის, რომ სათანადო კონტროლი გაუწიოს საპროცესო შეთანხმების პირობებს და თავიდან აირიდოს მისი ბოროტად გამოყენება.

## გამოვლენილი ტენდენციები

558 საქმიდან, რომლებზეც საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა, მოსამართლემ მხოლოდ 48 (9%) შემთხვევაში აღნიშნა, რომ სასჯელი კანონიერად და სამართლიანად მიაჩნდა. ეს მონაცემი, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 7 პროცენტული ერთეულით არის გაუმჯობესებული.<sup>42</sup>

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროკურორს შეეძლო, საერთოდ არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და მხარისთვის განრიდების გამოყენება შეეთავაზებინა. თავის მხრივ, სასამართლოს შეეძლო, არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება ქმედების მცირე მნიშვნელობის<sup>43</sup> გამო.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

<sup>42</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ასეთი 11 (2%) შემთხვევა დაფიქსირდა.

<sup>43</sup> სსკ-ის მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებას.



- ❖ პირს ბრალი ედებათ ქურდობაში (სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ბრალდებული, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ლითონის ნაჭრებს (ჯართს), რითაც დაზარალებულს მიაყენა 35 ლარის ზიანი.

მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება და ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

- ❖ პირს ბრალი ედებათ ქურდობის მცდელობაში (სსკ-ის 19, 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კერძოდ, იგი შეეცადა, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა ლუდსა და ჩურჩხელას, რითაც დაზარალებულს, შესაძლოა, მისდგომოდა 10 ლარისა და 30 თეთრის ქონებრივი ზიანი. საპროცესო შეთანხმებით, ბრალდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რაც ჩაითვალია პირობითად და 1 წლიანი გამოსაცდელი ვადა.


ამ ტიპის დანაშაულებზე არ უნდა იხარჯებოდეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო რესურსი და უნდა ხდებოდეს ჰუმანური პრაქტიკის დამკვიდრება როგორც სასამართლოს, ისე ბრალდების მხარის მიერ. ეს უკანასკნელი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სარგებლობს დისკრეციული დევნის უფლებამოსილებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, უარი თქვას დევნის განხორციელებაზე ან მიმართოს ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას.

## გამოყენებული სასაქელები

სხდომების მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმების დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება პირობითი მსჯავრი როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა სახის სასჯელთან ერთად.


*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეფარდებული სასჯელების პროცენტული მაჩვენებლები.*

დიაგრამა №18



ჯარიმა კვლავ სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი სახეა. ბოლო ორი საანგარიშო პერიოდი, შეინიშნება მისი მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია.


დიაგრამა №19



თუმცა, მეორე მხრივ, შემცირდა ჯარიმის საშუალო ოდენობა და 3201 ლარი შეადგინა.<sup>44</sup>


<sup>44</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 4238 ლარს.

დიაგრამა №20



ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, მცირდება სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების შემთხვევები. წინა პერიოდთან (17%) შედარებით, მისი მაჩვენებელი 2 პროცენტული ერთეულით შემცირდა და 15% შეადგინა.

დიაგრამა №21



## დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინება ცალკეული ტიპის დანაშაულებზე

### სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები

დაზარალებულის უარი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საპროცესო შეთანხმების მისაღწევად, თუმცა კანონი განსაზღვრავს პროკურორის ვალდებულებას, შეთანხმების დადებამდე მასთან კონსულტაცია გაიაროს.<sup>45</sup> აღნიშნულის მიზანია, პროკურორმა და, შემდგომ, სასამართლომ ისე მიიღონ გადაწყვეტილება საპროცესო შეთანხმების თაობაზე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს დაზარალებულის ინტერესები, განსაკუთრებით ისეთ მგრძნობიარე შემთხვევებში, რომლებსაც სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა.

### გამოვლენილი ტენდენციები

საიას მიერ შესწავლილი საქმეებიდან 190 შეხებოდა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებს. აქედან 176 (93%) სხდომაზე არაფერი თქმულა დაზარალებულის პოზიციის თაობაზე, დანარჩენ 14 (7%) შემთხვევაში კი აღნიშნულთან დაკავშირებით პროკურორმა ისაუბრა. ეს მონაცემი, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებულია.<sup>46</sup>

ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 55 პირთან, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენაში. 12 შემთხვევაში დადგა სასიკვდილო შედეგი. აქედან პროკურორმა პროცესზე მხოლოდ 1 საქმეზე დააფიქსირა დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია და აღინიშნა, რომ მას ბრალდებულის მიმართ მატერიალური ან მორალური სახის პრეტენზია არ გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო შეთანხმების დროს პროკურატურას, კანონმდებლობით, არ აქვს დაზარალებულის პოზიციის უპირობოდ გაზიარების ვალდებულება, საია მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ასეთი ტიპის საქმეებთან დაკავშირებით სხდომაზე ნათლად

<sup>45</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>46</sup> წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლოს სხდომაზე დაზარალებულის პოზიცია გამოკვლეული იყო, ან პროკურორმა წარმოადგინა მასთან კონსულტაციის ოქმი შემთხვევათა 29%-ში.

და გასაგებად გახმოვანდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია, გამოირკვეს, რამ გადაწონა მისი მოსაზრება იმ შემთხვევაში, თუკი თანახმა არ იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

## მხარეთა მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში


### ადვოკატის როლი

სავალდებულოა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების თაობაზე.<sup>47</sup> ასეთ დროს დაცვის უფლების მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ადვოკატის მონაწილეობა გამოიხატება ბრალდებულისთვის სრულყოფილი იურიდიული კონსულტაციის გაწევასა და მის ინფორმირებაში საპროცესო შეთანხმების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.

### გამოვლენილი ტენდენციები

მონიტორინგის პროცესში 103 (18%) შემთხვევაში ვერ გამოვლინდა, ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე იყო დანიშნული, თუ ბრალდებულმა ის საკუთარი ხარჯით დაიქირავა.

დიაგრამა №22



<sup>47</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

162 საქმიდან, რომელშიც პირს კერძო ადვოკატი იცავდა, ბრალდებულსა და ადვოკატს შორის კომუნიკაციის პრობლემა იყო მინიმალური - 4 (3%) შემთხვევა. სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და მათი დაცვის ქვეშ მყოფებს შორის არასათანადო კომუნიკაცია გამოვლინდა 293-დან 18 (6%) შემთხვევაში. ეს მონაცემი საგრძნობლად შემცირებულია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით,<sup>48</sup> რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

თუმცა, გამოვლინდა შემდეგი შემთხვევები:

- ❖ ბრალდებულის ინტერესებს სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატი იცავდა, რომელმაც ვერ შეძლო პროცესზე მისვლა, ამიტომ სხდომაზე გამოცხადდა სხვა ადვოკატი, რომლის მონაწილეობითაც საქმეზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. ახალი ადვოკატი სხდომის დაწყებისას ბრალდებულს პირველად შეხვდა.
- ❖ ბრალდებულმა საპროცესო შეთანხმების სხდომაზე მოსამართლეს ჰკითხა, თუ რას ნიშნავდა გამოსაცდელი ვადა. ამის შემდეგ ადვოკატმა პროცესის მიმდინარეობისას განუმარტა ბრალდებულს გამოსაცდელი ვადის არსი. ზემოაღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკების პროცესში ამ უკანასკნელს არ გაეწია ზუსტი და კვალიფიციური იურიდიული მომსახურება.

### **ბრალდების მხარის მიდგომები საპროცესო შეთანხმების დადებისას**

საპროცესო შეთანხმება იდება ზემდგომ პროკურორთან შეთანხმებით. მისი გაფორმებისას პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს, რომელსაც განსაზღვრავს: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხარისხის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებულის საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლობის, გამოძიებასთან თანამშრომლობისა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანა-

<sup>48</sup> სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის პრობლემა გამოიკვეთა 247-დან 56 (23%) შემთხვევაში.

ზღაურების კუთხით ბრალდებულის ქცევის შეფასების საფუძველზე. პროკურორი ამ დროს ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ბრალდების მხარის მზაობა საპროცესო შეთანხმების მიღწევის თვალსაზრისით, ვინაიდან სწორედ მის დისკრეციას წარმოადგენს, დათანხმდება ან/და შესთავაზებს თუ არა ბრალდებულს მართლმსაჯულების ამ ფორმას. საპროცესო შეთანხმება, როგორც ინსტრუმენტი, პროკურატურის ხელშია და ბრალდების მხარე მას, გარკვეულ შემთხვევებში, მანიპულირებისთვის იყენებს.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

ადვოკატის დაგვიანების გამო, პროკურორი ძალიან გაბრაზდა და აგრესიული ტონით ელაპარაკებოდა ბრალდებულს. ეუბნებოდა, რომ მიატოვებდა სხდომას და რაც მოხდებოდა, ბრალდებულს საკუთარი თავისთვის დაებრალდებინა (სავარაუდოდ, გულისხმობდა, რომ საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობით აღარ მიმართავდა მოსამართლეს).

# საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები

## საჯაროობის პრინციპის დარღვევა

საჯაროობა სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია საერთაშორისო ინსტრუმენტებით - ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია ითვალისწინებს საჯარო სასამართლო განხილვის უფლებას.<sup>49</sup>

საქართველოს კანონმდებლობით განმტკიცებულია, ასევე, ზეპირობისა და საჯაროობის პრინციპი. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება საჯაროდ და ზეპირად. სხდომის დახურვა დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ცნადდება საჯაროდ.<sup>50</sup> სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს საქმის განხილვას სასამართლოში ღია სხდომაზე, საჯაროდ. საქვეყნობა უზრუნველყოფს პროცესის მწარმოებელი ორგანოს საქმიანობაზე სოციალურ კონტროლს და სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლებას.<sup>51</sup>

საჯარო განხილვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და იგი შეიძლება შეიზღუდოს: სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალების გავრცელების თავიდან ასაცილებლად, პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით და კანონით<sup>52</sup> გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ამასთან, სხდომის დახურვის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება ლეგიტიმურად რომ ჩაითვალოს, სათანადოდ უნდა იყოს დასაბუთებული.

<sup>49</sup> UDHR, მუხლი 10 და 11(1); ICCPR, მუხლი 14(1); ECHR, მუხლი 6(1).

<sup>50</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი.

<sup>51</sup> სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, რ. გოგშელიძე (რედ.), თბ. 2009, 157-158.

<sup>52</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი.



## გამოვლენილი ტენდენციები

საანგარიშო პერიოდში საია დაეწრო სისხლის სამართლის არსებითი განხილვის 1103 სხდომას. აქედან სხდომის განხილვის შესახებ ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი 89 (8%) შემთხვევაში (არ იყო განთავსებული არც განრიგში და არც სასამართლოს ვებგვერდზე).

სასამართლო მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, სხდომაზე დასწრების მსურველებს ჰქონდეთ, ერთი მხრივ, ინფორმაცია მისი გამართვის თაობაზე და, მეორე მხრივ, მასზე დასწრების პრაქტიკული შესაძლებლობაც. 9 შემთხვევაში ამის საშუალება ყველა მსურველს არ მიეცა იმ მიზეზით, რომ პროცესი პატარა დარბაზში გაიმართა. სხდომა დაიხურა 7 საქმეზე, აქედან ერთ შემთხვევაში - მოსამართლის ინიციატივით, წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლეს უჭირდა დარბაზში წესრიგის შენარჩუნება. ხშირი იყო შეუფერებელი წამოძახილები, რომლებიც, ძირითადად, 2-3 პირისგან მოდიოდა. რამდენიმე გაფრთხილების შემდგომ მოსამართლემ სხდომა საკუთარი ინიციატივით, წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით დახურა.

საქმეზე არსებობდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ამ ფონზე, მოსამართლეს, თავდაპირველად, სხვა ზომები უნდა მიეღო - სხდომის სრულად დახურვის ნაცვლად, დაეჯარიმებინა ან/და დარბაზიდან გაეძევებინა ის პირები, რომლებიც წესრიგს არღვევდნენ.

ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა სხდომის საჯაროობას უნდა მიენიჭოს.

3 შემთხვევაში სხდომის დახურვა ემსახურებოდა დაზარალებულის, კერძოდ, ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესებს. დანარჩენ 3 შემთხვევაში კი - პირადი და პერსონალური ინფორმაციის დაცვის მიზანს.

## სწრაფი მართლმსაჯულება

გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება გარანტირებულია როგორც შიდა ეროვნული კანონმდებლობით,<sup>53</sup> ასევე, საერთაშორისო ინსტრუმენტებით.<sup>54</sup> უეთოს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, „ყურადღება მიაქციონ [...] მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას და სასამართლო სისტემის სათანადოდ მართვას“.<sup>55</sup>

ბრალდებულს აქვს უფლება, მიიღოს სწრაფი მართლმსაჯულება. სასამართლო კი ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს სისხლის სამართლის ის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.<sup>56</sup>

მართლმსაჯულების განხორციელება უნდა მოხდეს დროულად, გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის ვადები. ე.წ. საპატიმრო საქმეებზე დადგენილია 9 თვიანი,<sup>57</sup> სხვა არასაპატიმრო საქმეებზე კი - 24 თვიანი (2 წლიანი) განხილვის ვადა.<sup>58</sup> ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისთვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ამ ცვლილების ამოქმედებიდან (2016 წლის 1 იანვრიდან) არაუგვიანეს 36 თვისა. ეს გულისხმობს, რომ ასეთი საქმეები მაქსიმუმ 2019 წლის 1-ლ იანვარს უნდა დასრულებულიყო.

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პროცესის გადადებისა და დაგვიანებით დაწყების არაერთი შემთხვევა, რაც საქმისწარმოების გაჭიანურების განმაპირობებელი ფაქტორია.

<sup>53</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 (2) მუხლი.

<sup>54</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14 (3) მუხლი; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6 (1) მუხლი.

<sup>55</sup> მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 5/06, მინისტრთა საბჭოს მეთოთხმეტე შეხვედრა ბრიუსელში (2006), პარ. 4.

<sup>56</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 (3) მუხლი.

<sup>57</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე (2) მუხლი.

<sup>58</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე (6) მუხლი.

## გამოვლენილი ტენდენციები

საია მონიტორინგს უწევს რამდენიმე საქმეს, რომლებიც, წლებია, მიმდინარეობს, თუმცა კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. ესენია: ე.წ. „7 ნოემბრის საქმე“<sup>59</sup> (არსებითად განიხილება 2015 წლიდან); ე.წ. „პიჯაკების საქმე“<sup>60</sup> (არსებითად განიხილება 2016 წლიდან);<sup>61</sup> ე.წ. „ბათუმის ციხის ყოფილი უფროსების საქმე“<sup>62</sup> (არსებითად განიხილება 2014 წლიდან).

ამ უკანასკნელთან მიმართებით დარღვეულია საქმეთა განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა. დანარჩენ ორ საქმეში, მართალია, სასამართლოს მხრიდან ვადები პირდაპირ არ დარღვეულა,<sup>63</sup> თუმცა წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესები ობიექტური დამკვირვებლის თვალში პროცესის გაჭიანურების შთაბეჭდილებას ტოვებს.

კიდევ ერთი საქმე, რომელშიც სავარაუდო გაჭიანურებას აქვს ადგილი, ე.წ. „პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეა“. მისი გაჭიანურების ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ პროცესი დაცვის მხარის დასკვნითი სიტყვის ეტაპზეა და 2019 წლის 20 ნოემბრის შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში, გაურკვეველი მიზეზით, ამ საქმეზე არცერთი სხდომა არ ჩატარებულა.<sup>64</sup> მართალია, სსკ-ის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ

<sup>59</sup> საქმეზე ბრალდებულები არიან გიორგი უგულავა (თბილისის ყოფილი მერი), ივანე მერაბიშვილი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი), დავით კუზერაშვილი (ყოფილი თავდაცვის მინისტრი), ზურაბ ადეიშვილი (ყოფილი მთავარი პროკურორი, შემდგომ - იუსტიციის მინისტრი), მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი). ბრალდება - სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სსკ-ის 25-ე, 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, სსკ-ის 25-ე, 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 ნაწილი, სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი; სსკ-ის 333-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

<sup>60</sup> საქმეზე ბრალდებულად ცნობილია მიხეილ სააკაშვილი და თეიმურაზ ჯანაშია; ბრალდება - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>61</sup> აღნიშნული საქმეებზე პროცესები ერთთვიანი ინტერვალით ტარდებოდა.

<sup>62</sup> საქმეზე ბრალდებულები არიან ბათუმის ციხის №3 საპრობილის ყოფილი დირექტორი და მისი მოადგილე.

<sup>63</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადა არ გამოიყენება იმ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებული თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას ან/და მასზე გამოცხადებულია ძებნა.

<sup>64</sup> ეს ინფორმაცია დამუშავდა 2020 წლის 27 მარტის მდგომარეობით.

გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა“, მაგრამ ეს ვადა გულისხმობს მაქსიმალურ პერიოდს, საქმის სირთულის გათვალისწინებით.

ამის საპირისპიროდ, დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც არასაპატიმრო საქმეებზე სასამართლო ფორსირებულ რეჟიმში ნიშნავდა პროცესებს.

ერთ-ერთი ასეთია მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე, რომელზეც მოსამართლემ, დაცვის მხარის ინტერესების გათვალისწინებლად, ინტენსიურად ჩანიშნა სხდომები.<sup>65</sup> თითქმის ყველა პროცესზე დაცვის მხარე ამის გამო უკმაყოფილებას გამოხატავდა. ადვოკატებმა მოსამართლის აცილების შუამდგომლობაც კი დააყენეს იმ საფუძვლით, რომ საქმე ფორსირებულად განიხილებოდა. მოგვიანებით, მოსამართლემ სხდომების რაოდენობა კვირაში, საშუალოდ, ორამდე შეამცირა.

კიდევ ერთ - ე.წ. „რუსთავი 2-ის საქმეზე“, რომელიც შეეხება ნიკა გვარამიას, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის მიმართ ბრალდებებს,<sup>66</sup> თავდაპირველად სასამართლომ ერთპიროვნულად განსაზღვრა სხდომების თარიღები ისე, რომ მხედველობაში არ მიუღია დაცვის მხარის პოზიცია. ადვოკატები ამბობდნენ, რომ მითითებულ დღეებში არ ეცალათ, რადგან სხვა პროცესებს ემთხვეოდა. ამის მიუხედავად, მოსამართლემ სხდომები ამჯერადაც ფორსირებულად, ახლო შუალედებით ჩანიშნა.<sup>67</sup> ორი პროცესის შემდგომ,

<sup>65</sup> მოსამართლემ 2019 წლის 27 დეკემბერს გაწერა შემდეგი სხდომების თარიღები: 9 იანვარი, 14 იანვარი, 15 იანვარი, 17 იანვარი, 20 იანვარი, 22 იანვარი, 27 იანვარი, 29 იანვარი, 30 იანვარი, 3 თებერვალი, 6 თებერვალი, 10 თებერვალი, 12 თებერვალი, 17 თებერვალი, 19 თებერვალი, 25 თებერვალი, 28 თებერვალი, 4 მარტი, 6 მარტი, 10 მარტი, 12 მარტი, 17 მარტი, 19 მარტი, 23 მარტი, 25 მარტი. სხდომები უნდა დაწყებულიყო დილის 11 საათზე და გაგრძელებულიყო მთელი დღე. დაცვის მხარემ გააპროტესტა პროცესების ასეთი ინტენსივობით ჩანიშვნა, თუმცა მოსამართლემ, საწყის ეტაპზე, დასახელებული თარიღები არ შეცვალა.

<sup>66</sup> ნიკა გვარამია (რუსთავი 2-ის ყოფილი გენერალური დირექტორი), ბრალდება - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; სსკ-ის 221-ე მუხლის 1-ლი ნაწილი; სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი; სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი; სსკ-ის 220-ე მუხლი; ზურაბ იაშვილი (სარეკლამო კომპანია ინტერმედია ჰოლდინგის დირექტორი), ბრალდება - სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 221-ე მუხლის პირველი ნაწილი; კახაბერ დამენია (რუსთავი 2-ის ყოფილი ფინანსური დირექტორი), ბრალდება - სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.


<sup>67</sup> მოსამართლემ 2020 წლის 3 იანვრის სხდომაზე გაწერა შემდეგი

10 იანვრის სხდომაზე, მოსამართლემ თვითაცილების შესახებ განაცხადა და განმარტა, რომ მას და ბრალდებულს შორის დაპირისპირებამ პირადი ხასიათი მიიღო, რის გამოც, შესაძლოა, პროცესი ობიექტურად ვეღარ წარემართა.<sup>68</sup> საქმე სხვა მოსამართლეს დაეწერა, რის შემდეგაც მიდგომა შეიცვალა და სხდომებს შორის შუალედები გაიზარდა.<sup>69</sup>

### პროცესის გადადება

პროცესი გახსნისთანავე გადაიდო 1103-დან 456 შემთხვევაში (41%). ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო ბრალდების მხარის მოწმეთა არყოფნით (30%) ან საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მოტივით (18%). სხვა მიზეზებს შორის აქტუალური იყო სხდომაზე ადვოკატის (13%) ან პროკურორის (10%) გამოუცხადებლობა.

#### დიაგრამა №23



სხდომების თარიღები: 6 იანვარი, 10 იანვარი, 13 იანვარი, 20 იანვარი, 23 იანვარი, 24 იანვარი, 7 თებერვალი.

<sup>68</sup> თვითაცილების საფუძველი, მოსამართლის განმარტებით, გახდა სასამართლოს შეურაცხყოფა. კერძოდ, გვარამიამ ბრიფინგზე და ფეისბუქსტატუსში მოსამართლე უცენზურო სიტყვებით (ნაძირალა, ნაბიჭვარი) მოიხსენია. ასევე, მოსამართლემ შეურაცხყოფად მიიჩნია გვარამიას განცხადება მისი არაადეკვატურობისა და არასიფიზიკლის შესახებ.


<sup>69</sup> მოსამართლემ სხდომები ჩანიშნა 2020 წლის 24 იანვარს, 30 იანვარსა და 17 თებერვალს.

## სხდომის დაგვიანებით დაწყება

საანგარიშო პერიოდში 1103 სხდომიდან 324 დაგვიანებით დაიწყო. უმეტესწილად (38%), პროცესის დაწყება დაგვიანდა 15-დან 30 წუთამდე დროით, 85 (26%) შემთხვევაში კი - 30 წუთზე მეტი ხნით.

სხდომების დაგვიანებით დაწყების მიზეზი, ძირითადად, იყო სასამართლო (36%) ან სხვა პროცესის მიმდინარეობის გამო დაკავებული დარბაზი (17%). რიგ შემთხვევაში აღნიშნული განაპირობა მხარეთა დროულად გამოუცხადებლობამ (11%). სხვა მიზეზებში ერთიანდება: ბადრაგირების სამსახურის მიერ ბრალდებულის დაგვიანებით მოყვანა, ტექნიკური ხარვეზი, მოწმეთა ან თარჯიმნის დაგვიანება. ზოგ შემთხვევაში კი საიას მონიტორინგის გურუკვეველი დარჩა, თუ რატომ დაიწყო სხდომა დაგვიანებით.

### დიაგრამა №24



## განაჩენები


ჯამში, საიას მონიტორებმა განახორციელეს 1103 არსებითი განხილვის სხდომის მონიტორინგი, საიდანაც განაჩენი დადგა 149 (14%) საქმეზე: 20 (13%) - გამამართლებელი, 122 (82%) - გამამტყუნებელი, 7 (5%) - ნაწილობრივ გამამართლებელი.

გამამართლებელ განაჩენთა პროცენტული მაჩვენებელი, პრაქტიკულად, წინა საანგარიშო პერიოდის იდენტურია - მხოლოდ 1 პროცენტული ერთეულით არის მომატებული. აქედან უმრავლესობა

შეეხებოდა ოჯახურ დანაშაულს, კერძოდ, 20-დან 14 განაჩენი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოცემული 14 საქმიდან 7 შემთხვევაში დაზარალებულებმა ისარგებლეს მათთვის მინიჭებული უფლებით და ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს. ამასთან, საქმეზე არ არსებობდა სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიდმა დაადასტურებდა მათ ბრალულობას. შედეგად, ოჯახურ დანაშაულებში ბრალდებული პირები გამართლდნენ.

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლო სასჯელის სახედ ყველაზე ხშირად თავისუფლების ვადიან აღკვეთას იყენებს (32%), ყველაზე იშვიათად კი - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. თუმცა, ეს უკანასკნელი მაჩვენებელი 5 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.<sup>70</sup>

**დიაგრამა №25**




ოჯახური დანაშაულების გამოკლებით, საქმის არსებითი განხილვის დროს გამოყენებული სასჯელები განსხვავებულ სურათს აჩვენებს, კერძოდ, უფრო მაღალია ვადიანი თავისუფლების აღკვეთისა (37%) და ჯარიმის (38%) შეფარდების მაჩვენებლები.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე ასახული მონაცემები არ შეიცავს ოჯახური დანაშაულებისთვის განსაზღვრულ სასჯელებს.*

<sup>70</sup> წინა საანგარიშო პერიოდში საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის, როგორც სასჯელის, გამოყენების მაჩვენებელმა გამამტყუნებელ განაჩენთა 11% შეადგინა.

დიაგრამა №26





# ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

## კანონმდებლობის მიმოხილვა

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს მიერ სტამბოლის კონვენციის<sup>71</sup> რატიფიცირების შემდგომ, რასაც სახელმწიფოს მხრიდან არაერთი ვალდებულების აღება და საკანონმდებლო ცვლილება მოჰყვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლი განსაზღვრავს კვალიფიკაციას ოჯახური დანაშაულისთვის.<sup>72</sup> ამ მუხლის შენიშვნა კი განმარტავს სისხლის სამართლის კოდექსისთვის ოჯახის წევრთა კატეგორიას.<sup>73</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მიხედვით, ოჯახურ დანაშაულად მიიჩნევა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება.<sup>74</sup>

## ადკვეთის ღონისძიების სხდომების ანალიზი

მონიტორინგმა ცხადყო, რომ ამგვარი დანაშაულის განმაპირობებელი მიზეზები ხშირად კომპლექსურია და მათ, ძირითადად, გა-

<sup>71</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია.

<sup>72</sup> ოჯახური დანაშაული გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სსკ-ის 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133<sup>1</sup>-ე, 133<sup>2</sup>-ე, 137-ე–141-ე, 143-ე, 144-ე–144<sup>3</sup>-ე, 149-ე–151<sup>1</sup>-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე–255<sup>1</sup>-ე, 381<sup>1</sup>-ე და 381<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

<sup>73</sup> სსკ-ის მიზნებისთვის, ოჯახის წევრად ითვლება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღზრდელი (დედობილი, მამობილი), დედინაცვალი, მამინაცვალი, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

<sup>74</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი.

ნსაზღვრავს ფსიქოსოციალური ფონი, ასევე, წლების მანძილზე არასწორად ჩამოყალიბებული გენდერული სტერეოტიპები, რაც ხშირად ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორს წარმოადგენს.

საიას მონიტორები დაესწრნენ ოჯახში ძალადობის (სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლი) საქმეებზე პირველი წარდგენის 121 სხდომას 122 ბრალდებულის მიმართ, რაც საანგარიშო პერიოდში შეფასებული პროცენტების 18%-ია.

ოჯახში ძალადობის 122 საქმიდან 115-ში ბრალდებული იყო კაცი, ხოლო 7-ში - ქალი. პროცენტებზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული არ მიეკუთვნება ისეთ დანაშაულთა კატეგორიას, როდესაც ძალადობის მსხვერპლი პირველივე შემთხვევის დროს მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს. მსხვერპლის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, თუ მოძალადე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელია. საანგარიშო პერიოდში არაერთი ასეთი შემთხვევა გამოვლინდა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

მოქმედ პატრულ-ინსპექტორს ბრალი ედებათ არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში (სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტი). როგორც პროცესზე ბრალდების მხარემ აღნიშნა, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას ჰქონდა სისტემატური ხასიათი, ამასთან, ბრალდებულმა იცოდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა, თუმცა ეს მისთვის შემაკავებელი ფაქტორი არ ყოფილა. პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობა და, ასევე, დააყენა შუამდგომლობა თანამდებობიდან ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ. სასამართლომ მოთხოვნა პატიმრობის ნაწილში დააკმაყოფილა, თუმცა მეორე შუამდგომლობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ, ვინაიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულს უშუალო კავშირი არ ჰქონდა ბრალდებულის სამსახურთან, მისი გათავისუფლება მიზანშეწონილად არ მიაჩნდა.


სხდომაზე გამოიკვეთა, რომ ბრალდებულს, საქმიანობის შესრულებისას, არაერთხელ მოუწია რეაგირება ოჯახურ დანაშაულზე.

საია მიიჩნევს, რომ ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოძიებაში მონაწილე სამართალდამცავების დამოკიდებულებებს იმ მანკიერი წარმოდგე-

ნებისა და მსჯელობებისადმი, რომლებიც ხშირად განაპირობებს ოჯახურ დანაშაულებს. ეს მინიმუმამდე შეამცირებს პოტენციური მოძალადის გავლენების გამოყენებას მსხვერპლის საზიანოდ.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია ინფორმაცია ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული ადვოკატის ღონისძიებების შესახებ.*

დიაგრამა №27



სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავებულის სახით წარდგა 109 (90%) ბრალდებული. ამ ტიპის დანაშაულების 87%-ში პროკურატურამ ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობა მოითხოვა.<sup>75</sup> ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული 122 პირიდან, 60-ის (49%) მიმართ სასამართლომ გამოიყენა გირაო, ერთ შემთხვევაში - პირადი თავდებობა, ხოლო 59-ში (48%) - პატიმრობა. ოჯახური ძალადობის ორ საქმეზე, რომლებზეც პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა, მოსამართლემ ბრალდებული ადვოკატის ღონისძიების გარეშე დატოვა. ორივე შემთხვევა საყურადღებოა იმით, რომ ბრალდებულს, ოჯახური დანაშაულის გარდა, ბრალად ედებოდა სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა.<sup>76</sup>

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა მხოლოდ ერთი შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარის განცხადებამ დაზარალებულის მხრიდან პრეტენზიის არქონის შესახებ არსებითი გავლენა მოახდინა ადვოკატის


<sup>75</sup> 122-დან 106 შემთხვევაში პროკურატურა ითხოვდა პატიმრობას.

<sup>76</sup> განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ანდა მისი შესრულების ხელშეშლა.

თის ღონისძიების შეფარდებაზე. სასამართლო პროცესების მონიტორინგისას ასევე გამოიკვეთა, რომ 28 (23%) შემთხვევაში ოჯახში ძალადობას თან სდევდა სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა (სსკ-ის 151-ე მუხლი).

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე მოცემულია გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობის (სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლი) შემთხვევებში, ქალაქების მიხედვით (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).<sup>77</sup>*

**დიაგრამა №28**



### საპროცესო შეთანხმების შედეგად გამოყენებული სასჯელები ოჯახურ დანაშაულებზე

ოჯახურ დანაშაულებთან მიმართებით გამკაცრებულია ბრალდების მხარის მიდგომა და პრაქტიკულად აღარ ფორმდება საპროცესო შეთანხმებები. საანგარიშო პერიოდში 523 საქმიდან (558 ბრალდებულის მიმართ) ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება მხოლოდ 7 შემთხვევაში გაფორმდა. დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც პირმა, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებიდან ორ დღეში, კვლავ ჩაიდინა სამართალდარღვევა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

<sup>77</sup> ოჯახური ძალადობის დანაშაულში ბრალდებულ პირთა რაოდენობა ქალაქების მიხედვით: თბილისი - 54; ქუთაისი - 31; ბათუმი - 18; თელავი - 10; რუსთავი - 4; გორი - 5.

პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ძალადობაში არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ორ ეპიზოდად (ფიქსირდებოდა როგორც ფიზიკური, ისე, წლების განმავლობაში, სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები), ასევე, სიცოცხლის მოსპობის მუქარასა და სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში, ორ ეპიზოდად.

ბრალდებულმა სრულად აღიარა დანაშაული. იმის მხედველობაში მიღებით, რომ დაზარალებულმა მის წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა, გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და, საბოლოოდ, სასჯელის სახედ და ზომად, დანაშაულთა ერთობლიობით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, რაც შემდგომში სასამართლომაც დაამტკიცა.


მსჯავრდებულმა საპროცესო შეთანხმების გაფორმებიდან მალევე დატოვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. გამოსვლიდან ორი დღის შემდეგ კი ისევ მივიდა დაზარალებულის - ყოფილი მეუღლის სახლთან და ქვების სროლით ჩაამსხვრია სახლის ფანჯარა, რის შემდეგაც მიიშალა. მოგვიანებით ის სამართალდამცავებმა დააკავეს.

### **არსებითი განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე**

საია დაესწრო ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებულ 162 სხდომას, საიდანაც განაჩენი დადგა 56 საქმეზე: 39 (70%) - გამამტყუნებელი, 14 (25%) - გამამართლებელი, ხოლო 3 (5%) - ნაწილობრივ გამამართლებელი.


*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ ოჯახურ დანაშაულთან მიმართებით გამოყენებული სასჯელის სახეები (2019 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით).*

დიაგრამა №29



თბილისის საქალაქო სასამართლო კვლავ მკაცრი მიდგომით გამოირჩევა ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით. ასეთ საქმეებზე განსაკუთრებით მაღალია სასჯელად ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რაც 67%-ს შეადგენს.

დიაგრამა №30



# ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

## აღკვეთის ღონისძიებები ნარკოტიკულ დანაშაულებზე

### კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით კვლავ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადად წარმოაჩენს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული ნორმები არ არის სათანადოდ დარეგულირებული.<sup>78</sup>

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების საჭიროება კიდევ უფრო ნათელი გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებამ.<sup>79</sup> თუმცა, არათუ ცვლილებები, არამედ უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხაც კი არ არის განსაზღვრული.

2020 წლის 4 ივნისს საკონსტიტუციო სასამართლომ კიდევ ერთი პრეცედენტული მნიშვნელობის განჩინება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების - „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ - ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკუ-

<sup>78</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება №3/1/855 – ვებგვერდი, 21.02.2017წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება №1/8/696 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1/13/732 – ვებგვერდი, 30.11.2017წ.

<sup>79</sup> სარჩელის დასახელება – საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 1/6/770; 2.08.2019.

ლი საშუალების უკანონო შეძენისას.<sup>80</sup>


ასევე, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ მოსახმარად გამოსადეგი ოდენობა, ყოველ კონკრეტულ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან დაკავშირებით, უნდა განსაზღვროს სისხლის სამართლის საქმის განმხილველმა სასამართლომ.

### სასამართლო სხდომების ანალიზი

საია დაესწრო პირველი წარდგენის 136 სხდომას 147 პირის მიმართ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენა. აქედან მხოლოდ 9-ს ედავებოდა გამოძიება სსკ-ის 273-ე ან 273<sup>1</sup>-ე მუხლებით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენას, რაც, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებული მაჩვენებელია.<sup>81</sup>

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე ასახულია ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ. მონაცემები არ შეიცავს სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებთან მიმართებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სტატისტიკას.*

#### დიაგრამა №31



<sup>80</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2020 წლის 04 ივნისის განჩინება №1/19/1265,1318 – ვებგვერდი, 04.06.2020წ.

<sup>81</sup> წინა საანგარიშო პერიოდში სსკ-ის 273-ე ან 273<sup>1</sup>-ე მუხლებით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში ბრალი ედებოდა 23 პირს.



სასამართლოს და პროკურატურის მიდგომები ამ ტიპის დანაშაულზე არ შეცვლილა და, დაახლოებით, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსია. 143 ბრალდებულიდან დაკავებულის სტატუსით წარდგა 127 (89%) პირი. **71-დან 67 (94%) შემთხვევაში სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სხვა დანაშაულებს, პატიმრობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი 73%-ია.**

სასამართლომ გირაო გამოიყენა 71 შემთხვევაში, აქედან 56-ში (79%) - გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

ნარკოტიკულ დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილებები, სხვა ტიპის დანაშაულებთან შედარებით, უფრო მეტად დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებულია. საანგარიშო პერიოდში, ჯამში, გამოვლინდა ასეთი 167 გადაწყვეტილება, საიდანაც 69 (41%) ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს.<sup>82</sup> პროკურატურა ყველა შემთხვევაში კვლავ შაბლონურად მიუთითებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემდეგ საფუძვლებზე: 1. დანაშაულის გაგრძელების საფრთხე - ვინაიდან ნარკოტიკულ დანაშაულს ახასიათებს განმეორებითობა; 2. დანაშაულის სიმძიმე და 3. მიმალვის საფრთხე.


წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ნარკოტიკულ დანაშაულებზე პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობა ან გირაოს ოდენობა, სხვა კატეგორიის დანაშაულებთან შედარებით, უფრო მეტად შაბლონური და, ძირითადად, დაუსაბუთებელია.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული გირაოს სახეები. სტატისტიკა არ შეიცავს სს-კ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებთან მიმართებით გამოყენებული გირაოს სახეებს.*

---

<sup>82</sup> გამოყენებული 67 პატიმრობიდან 33 (49%) იყო დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული, 71 გირაოდან კი - 36 (51%) დაუსაბუთებელი ან არასაკმარისად დასაბუთებული.

დიაგრამა №32




**საპროცესო შეთანხმების სხდომაზე გამოყენებული სასჯელი-  
ბი ნარკოტიკული დანაშაულებისთვის**

შესწავლილი საქმეებიდან, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულს შეეხებოდა, 153-ზე ბრალდებულთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. აქედან 115 პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-267 მუხლებით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში, ხოლო დანარჩენებს - სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

*ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზე იხილეთ მონაცემები ნარკოტიკული დანაშაულისთვის გამოყენებული სასჯელების შესახებ. ინფორმაცია არ შეიცავს სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებით შეფარდებული სასჯელის სახეებს.*

დიაგრამა №33



წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შემცირებულია ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული ჯარიმის საშუალო ოდენობა<sup>83</sup> და 3850 ლარი შეადგინა,<sup>84</sup> ხოლო სხვა კატეგორიის საქმეებზე - 3201 ლარით განისაზღვრა. შენარჩუნებულია ტენდენცია ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულთათვის უფრო მაღალი ჯარიმების შეფარდებასთან დაკავშირებით.

**საქმის არსებითი განხილვის შედეგად შეფარდებული სასჯელები**

საიას მონიტორები დაესწრნენ 65 სხდომას, რომლებიც უკავშირდებოდა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს (რაც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შექენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას). აქედან განაჩენი დადგა 4 საქმეზე, ყველა შემთხვევაში - გამამტყუნებელი. სასამართლომ მსჯავრდებულებს სასჯელად ვადიანი თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

<sup>83</sup> არ შეიცავს სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით გამოყენებულ ჯარიმებს.

<sup>84</sup> წინა საანგარიშო პერიოდში ჯარიმის საშუალო ოდენობა შეადგენდა 6778 ლარს.

არსებითი განხილვის დროს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, მაშინ, როდესაც ანალოგიურ დანაშაულში ბრალდებულებს, საპროცესო შეთანხმებისას, ყველა შემთხვევაში არასაპატიმრო სასჯელი, პირობითი მსჯავრი ან პირობით მსჯავრთან ერთად ჯარიმა განესაზღვრათ.

სსკ-ის 273-ე და 273<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, საიამ დაამონიტორინგა მხოლოდ ერთი არსებითი განხილვის სხდომა, რომელზეც განაჩენი დადგა. სასამართლომ სასჯელის სახით გამოიყენა ჯარიმა 2500 ლარის ოდენობით.

# მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული სხვა საკითხები

## თარჯიმნის ყოლის უფლება

თარჯიმნის ყოლის უფლება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან კომპონენტს. ბრალდებული, რომელმაც არ იცის სისხლის სამართალწარმოების ენა და უჭირს მიმდინარე პროცედურების აღქმა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის მომსახურებით. ეს უფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო კანონმდებლობით,<sup>85</sup> ისე საქართველოს კონსტიტუციითა<sup>86</sup> და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

## სხდომების ანალიზი

მონიტორინგის განმავლობაში საია დააკვირდა 190 სხდომას, რომლებზეც ბრალდებული უზრუნველყოფილი იყო თარჯიმნის მომსახურებით. ამ უფლებასთან დაკავშირებით დარღვევები, ძირითადად, არ დაფიქსირებულა. გამოვლინდა 3 შემთხვევა, როდესაც თარჯიმანი ვერ ახერხებდა, ბრალდებულისთვის ტექსტი სათანადოდ ეთარგმნა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

ერთ-ერთ პროცესზე, რომელზეც მოწვეული იყო სომხური ენის თარჯიმანი, საეჭვო გახდა მისი კვალიფიკაციის საკითხი. თარჯიმანი ვერ ახერხებდა სინქრონულად თარგმნას. ეს მოსამართლემაც შეამჩნია და, მიუხედავად იმისა, რომ მას თავადაც შეუპარა ეჭვი თარჯიმნის შესაძლებლობებში, სხდომა მაინც მისი მონაწილეობით გააგრძელა.

ერთ საქმეზე დაირღვა ბრალდებულის უფლება თარჯიმნის მომსახურებაზე.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

<sup>85</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-6 მუხლის მე-3 (e) პუნქტი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მე-14 მუხლის მე-3 (f) პუნქტი.

<sup>86</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 62-ე (4) მუხლი; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-11 და 38-ე (8) მუხლები.

ბრალდებული უზრუნველყოფილი იყო აზერბაიჯანული ენის თარჯიმნის მომსახურებით, თუმცა თავად ითხოვდა რუსული ენის თარჯიმნის მონაწილეობას. მოსამართლემ თარჯიმანს ჰკითხა: „რასაც თქვენ უთარგმნით, იმაზე პასუხი გაგცათ?“ თარჯიმანმა უპასუხა, რომ ბრალდებულს უჭირდა აზერბაიჯანული ენის გაგება, თუმცა მაინც ახერხებდა შინაარსის გადმოცემას. მოსამართლემ მიიჩნია, რომ რადგან ბრალდებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი იყო, მას ევოლინებოდა მშობლიური ენა და საქმეზე არ დანიშნა რუსული ენის თარჯიმანი.

### **საგარეულო არასათანადო მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან**

2019 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ამოქმედდა 191<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელებული წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, რეაგირებისთვის მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

პირველი წარდგენის სხდომაზე 686 ბრალდებულიდან 105-სთვის (15%) მოსამართლეს არ უკითხავს უფლების დარღვევასთან დაკავშირებული საჩივრის შესახებ. დანარჩენი 578-დან 15-მა პირმა მოსამართლის კითხვის შემდეგ საჩივრის თაობაზე განაცხადა. აქედან 14 ბრალდებული მიუთითებდა, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა მასზე იძალადეს ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად, ერთი კი ამბობდა, რომ პოლიციელთა მხრიდან წამებას და ექვემდებარა. მოსამართლემ 12 შემთხვევაში პროკურორს რეაგირებისკენ მოუწოდა. 2 შემთხვევაში აღნიშნა, რომ თავად მიმართავდა შესაბამის ორგანოებს, ხოლო ერთ ბრალდებულთან დაკავშირებით დაცვის მხარეს უკვე ჰქონდა მიმართული შესაბამისი ორგანოსთვის.

### **მხარეთა შუამდგომლობასა და თანასწორობაში ჩარევა**

საქართველოში სისხლის სამართალწარმოება ეფუძნება შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს, რაც გულისხმობს მხარის უფლებას, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე დააყენოს შუამდგომლობა - მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით

გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.<sup>87</sup>

სასამართლოს არ შეუძლია ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებების დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. ეს მხარეთა კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია, გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუკი ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.<sup>88</sup>

### **სხდომების ანალიზი**

მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლეები იშვიათად სარგებლობენ კითხვის დასმის უფლებით. მოწმეები დაიკითხნენ 404 სხდომაზე, საიდანაც მოსამართლემ დამაზუსტებელი კითხვა მხოლოდ 48 (12%) შემთხვევაში დასვა. აქედან 18 (38%) საქმეში მას ამის თაობაზე მხარეებისგან ნებართვა არ აუღია, 11 (23%) შემთხვევაში კი სრულიად ახალი შინაარსის შეკითხვა დასვა ან/და ხელმეორედ დაკითხვა აწარმოა.

გამოვლინდა მოსამართლის მხრიდან დაცვის კომპეტენციაში ჩარევის ფაქტი მისთვის ინსტრუქციის მიცემით. ერთ-ერთ საქმეზე, რომელზეც მოწმე იკითხებოდა, მოსამართლემ ადვოკატს კონკრეტული შეკითხვების დასმისკენ მოუწოდა, რადგან დაკითხვა დიდხანს გაგრძელდა. ამით იგი ხისტად ჩაერია მხარეთა კომპეტენციაში მტკიცებულებათა გამოკვლევისას. ამ საანგარიშო პერიოდში მოსამართლის მხრიდან მხარეების მიმართ ფამილარული ან/და ირონიული მიდგომა არ გამოვლენილა.

### **ბრალდაუბუღთაობის ვიზუალურად დაამტკიცებელი ღონისძიების გამოყენება**

სისხლის სამართლის პროცესის მთლიან ეტაპზე დაცული უნდა იყოს ბრალდებულთა ღირსება და უდანაშაულობის პრეზუმფიცია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ბრალდებულთა მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიებების გამოყენებას განიხილავს სწორედ მოცემული პრინციპების ჭრილში.<sup>89</sup> ამ სა-

<sup>87</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 (1,2) მუხლი.

<sup>88</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე (2) მუხლი.

<sup>89</sup> *ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ*, ECtHR, 26 ივნისი, 2012, პარ. 73; *რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ*, ECtHR, 27 იანვარი, 2009, პარ. 100-101.

კითხზე ყურადღება გამახვილებულია OSCE/ODIHR-ის სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიშში. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად. ეს გულისხმობს, რომ ბრალდებულები, ჩვეულებრივ, არ უნდა შებოჭონ ბორჯილებით, არ უნდა ჩასვან საკანში პროცესის მსვლელობისას და არ უნდა წარადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები.<sup>90</sup>

### **სხდომების ანალიზი**

საანგარიშო პერიოდში 489 ბრალდებული საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენილი იყო საპატიმრო დაწესებულებიდან. აქედან 157 (32%) პირი სხდომის მსვლელობის დროს განათავსეს გალიაში/მინის კონსტრუქციაში. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 5 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი.<sup>91</sup>

გალიაში განთავსებულთაგან 68 ბრალდებულს ჩადენილი ჰქონდა არაძალადობრივი ქმედება (ძირითადად, ჟურდობა ან ნარკოტიკული დანაშაული). ამასთან, მათი მხრიდან არ შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი საფრთხე, გაქცევის მცდელობა, აგრესიულობა ან სასამართლოს უპატივცემლობა, რასაც, შესაძლოა, დაჰფუძნებოდა პროცესზე მათი ამ ფორმით წარმოდგენა.

---

<sup>90</sup> ზოგადი კომენტარი N32, ციტატა ნაშრომიდან, შენიშვნა 113, პარ.30.

<sup>91</sup> წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 27%-ს.



## დასკვნა და რეკომენდაციები

საიას მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები და პრობლემები სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რომლებიც მომდინარეობს სასამართლოსა თუ პროცესის მონაწილეთა მხრიდან. იმავდროულად, რიგ საკითხებში ფიქსირდება გაუმჯობესებული მიდგომები.

**პირველი წარდგენის სხდომებზე** სასამართლო კვლავ ძირითადად ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას - პატიმრობას და გირაოს იყენებს. იშვიათია სხვა ღონისძიებების შეფარდების შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ერთხელ, ისიც პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობა გამოიყენა. პრობლემად რჩება აღკვეთის ღონისძიებათა სახეების სიმწირე ან/და მათი არასათანადო საკანონმდებლო რეგულირება. მინიმალურია ისეთი შემთხვევების რაოდენობა, როდესაც მოსამართლე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების გარეშე ტოვებს.

წინა საანგარიშო პერიოდებთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა დაუსაბუთებლად გამოყენებული პატიმრობის და გირაოს მაჩვენებელი.

კრიტიკულად გაზრდილია პირველი წარდგენის სხდომებზე ბრალდებულთა **დაკავებულის სახით** გამოცხადების მაჩვენებელი, ასევე - პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევები. ასეთ დროს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ჯეროვანი სასამართლო კონტროლის განხორციელება, თუმცა კვლავ პრობლემად რჩება სხდომებზე დაკავების კანონიერებაზე მსჯელობის საკითხი.

წლებია, ჩვეულებრივ წესად იქცა გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში **ჩხრეკა-ამოღების** ჩატარება. ეს საგამოძიებო მოქმედება იშვიათად ხორციელდება მოსამართლის წინასწარი ნებართვით. ამასთან დაკავშირებით საიას მიერ სასამართლოებიდან გამოთხოვნილი განჩინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინასწარი ნებართვის გარეშე ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ პროკურატურის შუამდგომლობებს მოსამართლეები 99.9% შემთხვევაში აკმაყოფილებენ. სასამართლოს მიდგომა, ძირითადად, ზედაპირულია. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ მსჯელობს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით მისი განხორციელების მიზანშეწონილობაზე.

მოსამართლეები უმეტესად აკმაყოფილებენ პროკურატურის მიერ

**საპროცესო შეთანხმების** თაობაზე წარდგენილ შუამდგომლობებს. გამოწვევად რჩება სასამართლოს მხრიდან სასჯელის სამართლიანობასა და კანონიერებაზე მსჯელობა, თუმცა, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ამ საკითხთან დაკავშირებული მიდგომა მცირედით გაუმჯობესებულია. კვლავ შენარჩუნებულია საპროცესო შეთანხმების სხდომების ჩატარების ტენდენცია პროცედურული წესების უგულვებლყოფით. პროცესზე არ განიხილება საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ხდება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის წარდგენა, რაც ხაზს უსვამს მის ფორმალურობას.

**წინასასამართლო** სხდომებზე დაცვის მხარის აქტიურობა მტკიცებულებების წარდგენის თვალსაზრისით არ შეცვლილა და, პრაქტიკულად, იმავე სიხშირით ითხოვს დასაშვებად მათ ცნობას. ამასთან, არ იკვეთება სასამართლოს მხრიდან უთანასწორო დამოკიდებულება მხარეთა შუამდგომლობების დაკმაყოფილების კუთხით.

**არსებითი განხილვის სხდომებთან დაკავშირებით** პრობლემატურია მათი საჯაროობა. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ყველა მსურველმა ვერ შეძლო სხდომებზე დასწრება, ვინაიდან პროცესი პატარა დარბაზში გაიმართა ან დაინტერესებული პირებისთვის მის შესახებ ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. გარდა ამისა, რამდენიმე საქმეში იკვეთება პროცესის გაჭიანურების პრობლემა. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვის კანონმდებლობით დადგენილი ვადებიც კი დაარღვია.

**ოჯახურ დანაშაულებთან** მიმართებით კვლავ მკაცრია ბრალდების მხარის მიდგომები და ის ძირითადად პატიმრობის გამოყენებას ითხოვს. ამ ტიპის დანაშაულებზე ძალიან იშვიათად ფორმდება საპროცესო შეთანხმება. სასამართლო თითქმის თანაბარი ოდენობით იყენებს აღკვეთის ღონისძიების სახეს - გირაოს ან პატიმრობას.

რაც შეეხება **ნარკოტიკულ დანაშაულებს**, სასამართლო პროკურატურის მიერ მოთხოვნილ პატიმრობას თითქმის ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებს. ამ ფონზე, საკმაოდ მათალია პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის ან არასათანადოდ დასაბუთების შემთხვევები. სასამართლოს პრაქტიკა კვლავ აჩვენებს, რომ საჭიროა კანონმდებლობის დროული მოწესრიგება. აუცილებელია ნარკოტიკულ საშაულებათა ოდენობების ე.წ. ნუსხის განახლება და სასჯელების გადახედვა, რათა ამ კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდებული/მსჯავრდებული პირები არ დაექვემდებარონ შეუსაბამოდ მკაცრ მიდგომებს.

საია იმედს გამოთქვამს, რომ ანგარიშში გამოვლენილი ხარვეზები გამოსწორდება და წლიდან წლამდე უფრო მეტი დადებითი ტე-

ნდენცია გამოვლინდება. ორგანიზაციამ, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი უწყებებისთვის შემდეგი სახის **რეკომენდაციები** მოამზადა:

### საერთო სასამართლოებს

- მოსამართლემ ისარგებლონ მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებებით აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით, უფრო ხშირად შეუფარდოს ბრალდებულს ნაკლებად მკაცრი ზომა (ალტერნატიული ღონისძიება, პატიმრობისა და გირაოს გარდა), ან საერთოდ უარი თქვას მის გამოყენებაზე, როდესაც პროკურორის შუამდგომლობა არ არის საკმარისად დასაბუთებული.
- სასამართლოებმა პროკურატურისგან მოითხოვონ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის სათანადოდ დასაბუთება და მტკიცების ტვირთი დააკისრონ ბრალდების მხარეს.
- სხდომაზე, რომელზეც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გადასინჯვის საკითხი განიხილება, მოსამართლემ მეტი დრო დაუთმოს და სათანადოდ დაასაბუთოს პატიმრობის შეცვლისა თუ ძალაში დატოვების საჭიროება.
- მოსამართლემ, დაცვის მხარის ჩართულობის ასამაღლებლად, საჯაროდ განიხილოს დაკავების კანონიერების საკითხი და შეეცადოს, ადამიანის თავისუფლების უფლების შეზღუდვის პრევენციის კუთხით, დაამკვიდროს მაღალი სტანდარტი.
- მოსამართლემ განახორციელოს მკაცრი სასამართლო კონტროლი ჩხრეკა-ამოღების შუამდგომლობებზე, ყოველ ჯერზე შეაფასოს მისი ჩატარების რელევანტურობა და პროპორციულობა, არ დაუშვას ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების არამართლზომიერი ხელყოფა.
- განხორციელდეს სათანადო სასამართლო კონტროლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. მოსამართლეები მეტი ყურადღებით მოეკიდონ საქმის საჯაროდ და სრულყოფილი პროცედურული წესებით განხილვას, რათა საპროცესო შეთანხმების სხდომამ არ მიიღოს ფორმალური ხასიათი.
- მოსამართლემ სრულყოფილად და გასაგებად განუმარტოს ბრალდებულს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს ადვოკატი არ ჰყავს.

- პროცესის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სხდომაზე მხარეთა დაგვიანებისა თუ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევებზე მოახდინოს რეაგირება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.
- მოსამართლემ, იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ კონკრეტული ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა აშკარად აღემატება ქმედების უმართლობის ხარისხს, გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღებამდე წარდგინებით მიმართოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

### **საქართველოს პროკურატურას**

- პროკურორებმა, კონკრეტული საქმის გარემოებების, ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი მხრიდან მომდინარე საფრთხეების განჭვრეტით, დაასაბუთონ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება.
- პროკურორებმა უფრო მეტად დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. იმავდროულად, განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს.
- პროკურორებმა დაასაბუთონ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლონ ბრალდებულის ქონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები.
- გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაატარონ ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.
- საპროცესო შეთანხმების სხდომებზე, სადაც განიხილება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა ან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ბრალდებულთა საქმეები, პროკურატურამ სათანადო ყურადღება მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას და წარმოადგინოს მასთან კონსულტაციის ოქმი, ან/და განაცხადოს მისი მოსაზრების შესახებ პირის დასჯასთან დაკავშირებით.

- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე, ყველა შესაბამის შემთხვევაში, ბრალდების მხარემ გააკეთოს მითითება დისკრიმინაციულ მოტივზე და საქმისწარმოება განახორციელოს გენდერული ხედვით.

### **საქართველოს პარლამენტს**

- აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით და ძირითადი აღკვეთის ღონისძიებების სახეების რაოდენობის გაზრდა.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდეს ცვლილებები და აღკვეთის ღონისძიების სახეს - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ - მოეხსნას სასჯელსა თუ დანაშაულის კატეგორიაზე დამოკიდებულება.
- კანონმდებლობით მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს.
- ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული კანონმდებლობა მოვიდეს შესაბამისობაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებთან.

### **საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

- დაინერგოს აღკვეთის ღონისძიებების შესახებ რეგულარული და სავალდებულო ტრენინგები. ეს დაეხმარება ადვოკატებს, მეტი ინტენსივობით მოითხოვონ ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან/და მის გარეშე ბრალდებულის დატოვება.
- გატარდეს შესაბამისი ზომები ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პერმანენტული გადამზადების კუთხით სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა საკითხზე, რათა მათ შეძლონ დაცვის უფლების სრულყოფილად, აქტიურად და დამაჯერებლად განხორციელება საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.